



ქართული  
ენციკლოპედია





I ნეკოლოზ ბარათაშვილი, სურათი გადაღებულია მისი ამხანაგის, მიხეილ თუმანიშვილის ნახატიდან . . . . .	194
II ტყემლის ხე—ლექსი მიმქრალისა . . . . .	196
III რატომ არის ზოგიერთი ხეები ზამთარში მწვანე . . . . .	196
IV ვანო ბალი (იგავ არაკი) ი. სიხარულიძისა . . . . .	200
V უენო და ბელურა. იაპონური ზღაპარი . . . . .	202
VI ფუტკართა დედოფალი (დასასრული) იტასი . . . . .	214
VII წვრილმანი ანდაზები, გამოცანები, რებუსი და ახსნა . . . . .	225
<hr/>	
VIII ხარის გოდება ლექსი მიხ. გერმანაშვილისა . . . . .	227
IX სხვის ამრა ამბავი გრ. პარკაძისა . . . . .	228
X მეფე ლირი შექსპრისა, მისი სურათით . . . . .	231
XI თამარ მეფის დღესასწაული, ეკ. გაბაშვილისა . . . . .	241
XII როგორ ჩნდება კვერცხში წიწილა (დასასრული) ეფრ. კიკინაძისა . . . . .	244
XIII მთვარის ანგარიში. მიხეილ გერმანაშვილისა . . . . .	250
XIV მაიმუნი იაკო (დასასრული შემდეგ) . . . . .	252
XV მგოსანი ევლოშვილი (სურათი) . . . . .	256

მიიღება სელის მოწერა

# ჯ ე ჯ ი ლ ო ზ ე

## 1916 წლისა.

„ჯეჯილისა“ რედაქცია სთხოვს ყველას, რომ მის დაუკითხავათ ჟურნალიდან არაფერი არ გადაბეჭდონ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

317



156.

საქმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი


იზარდვ. მწვანე ჯეჯილა,  
დაპურდი, გახდი ყანაო.

ი. დ.



აპრილი, 1916 წ.

◆ წელიწადი მეოცდაშვიდე ◆



თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი „სრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1916



ნიკოლოზ ბარათაშვილი.

(ფოტოვთ ყველას ჯეჯილის რედაქტორის დაუკითხავთ  
არავინ გადაიღოს ეს სურათი).



# ტყემლის ხე.



ვაჟილობს ტყემალი  
თეთრი და ლამაზი,  
გარს უვლის ნიავი  
ფრთა-ქარდი, ძალსაზი.

ძის ირგულივ სეებზე  
ჯერ არ სჩანს ფოთლები,  
გაძარცულ მხედარს ჰკვავს  
ძღუძარე სოფლები.

ამაეობს ტყემალი  
თავ-თეთრი, ნარნარი  
და ფიქრობს: „უჩემოთ  
რათ ვარგა ბაღნარი!..

რას გვზნან ტიტვლები  
საბრალო ხეები,  
არა სჯობს მათ ადგილს,  
რომ დარგონ ტყემლები?!


ამ დროს კი ბუჩქებს ქვეშ  
იცინის იები..  
და მათკენ გარბიან  
ზატარა სტუმრები.

ტყემალი ისევ სდგას  
ოცნებით დამტკბარი;  
კვლავ ფიქრობს: „უჩემოთ  
რათ ვარგა ბაღნარი!



# რასობ აზრის წომიართი ხაუვი წამთარუი მზანა.

(ფრანგულით)



რთ დღეს, კარგა  
ხანია მას აქეთ,  
საშინელი სიცივე  
იყო. სამთარი ახ-  
ლოვდებოდა და  
ფრინვლები გაეშ-

კსაფრენ სამსრეთისაკენ, გასაფრულამდე დასარჩენათ.  
ერთი ჰატარა ჩიტეი დარჩა, ვერ წავიდა, რადგან  
ფრთა მოტეხილი ჰქონდა და ფრენა არ შეეძლო. სა-  
წებლმა არ იცოდა რა ექნა, თავისთვის როგორ  
ემეფლა, ევეღვან ათეალიერებდა თავშესაფარს. მან  
უცბათ შენიშნა ტყეში მშვენიერი ხეები.

— იქნებ ამ ხეებმა შემაფარვინონ თავი სამთარ-  
ში! გაიფიქრა ჩიტუნამ.

სტკნვით, როგორც იყო მიადწია ერთ ხემდე და  
შეჩერდა. ეს ხე გახლდათ ვერცხლის ფერ კაბიანი  
არყის ხე.

— ღამაზო ხეო, ვერ შემიფარებთ თქვენს ტო-  
ტებში გასაფრულამდე? დაეკითხა ჩიტუნამ.

— მართალს მეუბნები! უპასუხა დაცინვით არყის



სემ,—რა უცნაური თხოვნაა! მე ჩემი ტოტების უსრის გდებაც სადარდელათ ძაქვს. დაშეკარგე!

გულდაწვევტილი ჰატარა ჩიტი სტუნაობით, ფრთის თრევით, ძლივ ძლიობით მივიდა მეორე სემდე. ეს სე სძირ ფოთლიანი მუსა გასლდათ.

— დიდებულო მუსავ, შეესვეწა ჰატარა ჩიტი, თქვენ ტოტებში ვერ შემაფარებინებთ თავს გასაფსულაბდე?

— რა უცნაური თხოვნაა! უპასუსა მედიდურათ მუსამ, — მე რომ ჩემ ტოტებში მოგცე ბინა რკოებს სულ დაძიკენკავ. გაძეცალე აქედან!

ჰატარა ჩიტი ასტადასტა და მივიდა მდინარის ჰირას ამართულ ერთ დიდ ტირიფთან.

— მშვენიერო ტირიფო! უთსრა ჰატარა ჩიტმა, — ვერ შემაფარებინებ თავს თქვენ ტოტებში გასაფსულაბდე?

— მე არასოდეს არ ვიკარებ ახლოს უცხოელებს!. უთსრა ტირიფმა — გასწი, მოძმორდი.

იმედ დაკარგულმა ჩიტუნამ აღარ იცოდა რა ექნა, ვისთვის მიემართა და სიცივით სტოდა და სტოდა. მაშინ ნაძემა თვალი მოჰკრა და ჰკითხა.

— სად მიემგზავრები, ჰატარა ჩიტუნავ?

— მე თვითონაც არ ვიცი, უპასუსა ფრინველმა, არც ერთ სეს არ უნდა თავი შემაფარებინოს და მე კი არ შემძლიან შორს გაფრენა ჩემი მოტესილი ფრთით.

— შოდი ჩემთან, უთსრა ნაძემა. ამოარჩიე ჩემი



საუკეთესო ტოტი, რამეღიც კი მოგეწონება. მკონი აქეთ მხარეს უფრო სიცხე იცის.

— ოჰ! გმადლობთ, მაგრამ განა შეიძლება მთელი სამთარი მანდ დავრჩე?

— რასაკვირველია, უთხრა ნამუხა, ორივენი უფრო გავფრობით.

ფიჭვმა თავის ბიძაშვილ ნამუხედ რომ ჩიტი დაინახა უთხრა:

— თუცა ჩემი ტოტები მოშორებით არიან, მაგრამ მაინც შემიძლიან მეც ქარისაგან დავიფარო, რადგან მე ნამუხე დიდიც და მძლავრიც ვარ.

ამნაირათ ჩვენმა პაწაწკინა მეგობარმა ბინა კარგი მოძებნა ეველაზე დიდ ტოტზედ და ფიჭვიც ქარისაგან ჭფარავდა.

ეს ეველაფერი დაინახა კვრინჩხმა და შეჭპირდა მთელი სამთრის განმავლობაში საკვებს მე მოცემო. კვრინჩხის მარცვლები ძალიან მარკებელია ჩიტებისათვის. ჩიტი ძალიან განცხრომაში ჩავარდა: ქარისაგან დაფარული, თბილ ოთახივით ბინა ჭქონდა და ბლომათ კვრინჩხის მარცვლები.

სსვა სეებმა რომ დაინახეს ერთმანეთში მოჭეუვენ ლაპარაკს.

— მე სულაც არ მინდოდა უცხო ჩიტისთვის დამეთმო ჩემი ტოტები. სთქვა არუის სეე.

— მე მეშინოდა რკოებს გამინადგურებს მეთქი, დაუმატა მუხამ.

— უცხოელებთან არასდროს არ ვიჭერ საქმეს, წამოიფირო ტირიფმა.





ეს სტეპეს და სამივემ ამაუურათ გამოიუურეს.

იმავე ღამეს ჩრდილოეთის ციკმა ქარმა წამოუბერა და ფოთლები სეებს გასცვივდა. ქარი თითქოს დიდ სიამოვნებას გრძნობდა სეები რომ ტიტვლდებოდა.

— სომ შემოდინან ეველა სეების გარშემო ვიცეკვობ? ჰკითხა ქარმა თავის ძამას, მეფე ეინვას.

— არა, უზასუხა მეფემ, იმ სეებმა, რომელთაც გულკეთილობა გამოიჩინეს და შეიხიზნეს საბრალლო ჩიტი შეიძლება სამთრობითაც თავიანთი ფოთლები შეიჩინონ.

ამნაირათ ჩრდილოეთის ქარი მათ არ შეესო და ნამემა და კვლინჩნმა მთელი სამთარს განმავლობაში ფოთლები შეიჩინეს: მას აქეთია ეს სეები სამთარსაფსულ მწვანე არიან.

მედია ღ—ძე.





## ვანო და ბალი.

(იკავ-არაკი)

რთს ესოდნ იდგა ერთი  
 დაკუნწლული ალუბალი,  
 გარს ბავშვები ესვევოდენ,  
 ზევით ჰქონდა ეველას თვალი;  
 მათში—ვანოს—ერთს შესწევდა  
 ზედ გასვლისა ღონეძალი,  
 (რადგანაც ეს ალუბალი  
 იყო მწვრილი, ტან მალაღი)..

და ვანომაც ალუბალზე  
 შესტა ცქვიტათ, ტანის რწევით,  
 ბალი ესნა კანწვროში

და მოექცა ისიც ზევით;

ქვეშ კი ბავშვებს გულმა ტბილათ  
 უწუო ძეგრბ და ფანცქალი,  
 იმედობდენ, რომ იმათაც  
 ერგებოდათ ტბილი ბალი,

მაგრამ შეცდენ, ფლიდი ვანო  
 თვითონ სწამდა რასაც ჰკრეფდა,  
 და ვინც სთხოვდა ალუბალსა,  
 ეველას გადმოაფურთხებდა...

ბოლოს გაძღა ღორმუცელებ  
 და ჩამოვსა ქვევით ნელა,



ვანო და ბალო.

დახე!! მისი განაფურთხი  
გზაზე დახვდა მას სულ ეველა:  
აღუბალის სძირ ფოთლებსა  
ქვეშ ერთიც ვერ გაეპარა,  
და ცუდლუტი ჩვენი ვანო  
თვითონვე შიგ გაისვარა...



ცხოვრებაში მადლა ასვლა  
როდი სვდება ეველას წილათ,  
ვისაც ბუდი აღამაღლებს  
სჯობს ეჭიროს თაჯი ფრთხილათ,  
სძირათ მადლა-მადლა ასვლას  
მოსდევს თავქვე დანარცხება,  
რაც მადლიდან დაგითესავს  
მაშინ ეველა ძირს დატყდება.


ი. სინარულიძე.





# უენო ბელურა

(იანონური სახალხო ზღაპარი)



არგა ხანია მას შემდეგ  
რაც ერთ ძიურუებულ ია-  
ზონიის სოფელში სცსოვ-  
რობდა ერთი კეთილი ბე-  
რიკაცი თავისი დედბერით.  
უშვილონი იუვნენ.

ამათ ერთი ბელურა ჩი-  
ტი ჭუავდათ და ის ბელურა

რბ ისე ძალიან უუვარდა ბერიკაცს, რომ ორთავ  
თვალს ერჩინა. იგი თავისი სელით ჭკუებავდა, უვ-  
ლიდა და თავს ევლებოდა, როგორც საკუთარ ძვილს.

ერთსელ ბერიკაცმა წამოიკიდა გოდორი, იღლი-  
აში წაღდი ამოიღო და გასწია ტუისკენ ფინისი  
ძოსაჭრელათ.

სახლში დედბერი დარჩა.

მან ზირველათ ჭასთან სარეცხი დასდვა და ძერე  
ჰერანგების გასახამებელათ სამსარეულოში შევიდა.  
მიიხედ-მოიხედა სამსარეულოში და შენიძნა, რომ  
ბადიაში მოძსადებული სახამებელი აღარსად არის,  
გაქრა სადღაც. გაწიწმატდა დედბერი და გაბრა'ხია-  
ნებულმა შეჭვირა:

— ოხ, ღმერთო ჩემო! ვის უნდოდა, რომ ჩემძიერ



გუშინდელი საგანგებოთ გაკეთებული სსსამეხელო მოი-  
 ტაცა.

დედაბერმა ერთი სამჯერ მანც აათვაღ-ჩაათვა-  
 ლიერა სამსარეულო.

— აქ არავენ არ არის! ქურდი არსად მოხანს.

— დიდიდედო! რას ეძებ? გამოსწიკტიკა ბომსედ  
 ჩამოკიდულ გალიიდან ბერკაცის სუვარელმა ბელუ-  
 რამ.

— აი, მე აქ სსსამეხელო მქონდა მენახული და  
 იგი არსად არ არის!

— სსსამეხელსედა ლაზარაკობ?

— ჭო, სწორეთ მაგას ვეძებ!

— ნუ ეძებ, მე შევჭამე!

— რაო? შენ შევჭამე?

— დიხს, მომიტყვევო. მე სრულიათაც არ ვიცო-  
 დი, დიდიდედო, რომ იგი ეგრე საჭირო იქნებოდა  
 შენთვის. ამ ბადესე იუო წაგლესილი. მე მეგო-  
 ნა ჩემთვის არის შეთქი გადადებული, ავიდე და შევ-  
 ჭამე. ბოდიშს ვიხდი, დიდიდედო, მე სრულიათაც  
 არა ვარ ამაში დაძნაძვე!. ბელურამ მოისარა თავი  
 დედაბრის წინაშე და შენდობა სთხოვა მას.

მაგრამ დედაბერს დიდიხანის მოძულეებული ჭეაუ-  
 და ის ბელურა და მიხესს ეძებდა, როგორმე  
 იგი თავიდან მოეძორებინა. შეუტია, შეუვირა  
 დედაბერმა.

— აი შე ეძმაკო და ქაჯო! მამ შენა ფიქრობ,  
 რომ ის საჭმელი შენთვის მქონდა გადადებული? მამ  
 კარგი და მე გიჩვენებ სვირს!



დედაბებმა საჩქაროთ მაკრატელს წამოაგლო სე-  
 ლი, გამოიყვანა ცალიიდან საცოდავი ჩიორა და  
 მოსწრა შიკ ძირში ენა. ბელურა ცრემლითა და სის-  
 ხლით იცლებოდა.

მოსწრა ენა და გააგდო გარეთ.

სისმარშიაც არ ესმანებოდა ბერიკაცს, რომ მის  
 ძვირფას ფრთოსანს ასეთი უბედურება დაატყდებოდა  
 თავს. მზე მიწურული იყო, რომ მოვიდა სასლ-  
 ში. იგი მოეშურებოდა შინ, რომ ჩქარა კიდევ გაე-  
 გონა თავისი სათაუვანებელი ჩიტუნისა ჟივილსნივი-  
 ლი, რომ მისი ნახვით თვითონაც დამტკებარიყო და  
 ბელურაც განხარებინა. შეიჭრა იგი სასლში და ჰირს  
 კატა ეცა: გალია დაცხრილებული დაჭხვდა და ბელუ-  
 რა კი არსად მოსჩანდა.

— რა იქნა ჩემი ბელურა? ჰკითხა ბერიკაცმა დე-  
 დაბერს!

დედაბებმა კი თავი ასე აჩვენა თითქო არაფერი  
 არა იცის რაო.

— სად არის? მე რა ვიცი სად არის!.. ძგო-  
 ნია, რომ მე მის სადარაჯოთ არა მკვლიან!.. და  
 სწორეთ რომ ვითხრა—არ ვიცი სად არის!..

— აი, შესედე გალიას, სომ ჰხვდავ, რომ იგი  
 ცხრიელია! რატომ შიკ არ არის ჩემი მოამატე ჩიტი,  
 — ცდიდა დედაბერს.

— „რატომ მანდ არ არის!“ მე ეკ არ ვიცი,  
 ცივათ უპასუხა დედაბებმა—თუ მანდ არ არის ეს  
 იმასა ნიშნავს, რომ გამოფრენილა მანდედან.

— აბა სად უნდა გაფრენილიყო ჩემი ბელურა!

— სასტიკათ უნასუსა ბერეკაცმა. — მითსაწი ნამდვირ  
 ლათ, შენ სომ არ კაბგდე იგი.

დედაბერს ესლა კი ვეღარ შეეძლო დაეძალა და  
 უთხრა:

— შენ მიჭხვდი, ბერეკაცო; როდესაც შენ სასლ-  
 ში არ იეავი, შენმა ბელურამ შემიჭამა სახამებელი,  
 ამასედ გავბოროტდი, ენა შიგ ძარში მოვსჭერი და  
 სასლიდენაც გავისტუმრე.

დააღონა, დაძძარხ დედაბრის სიტყვებმა ჩვენი  
 ბერეკაცი!

— ოჰ, შე ბოროტო, გულქვბო ადამიანო! განა შენ  
 არ იცი, რომ ჩიტები არაფერს სიბოროტეს არ ჩაი-  
 დენენ? და რა არის აქ ცუდი, რომ ბელურამ სასა-  
 მებელი შეგიჭამა! შენ უეჭველია დაგავიწუდებოდა სა-  
 ჭმელის მიცემა, ამასაც ეგონებოდა, რომ ეგ სასამე-  
 ბელი მისთვის იქნებოდა მოძხადებულა და შეუჭამია.  
 გული როგორ გითმენდა, როდესაც ავრე სასტიკათა  
 სჯიდი მაგ მშვენიერ ფრთოსანს!

სთქვა ეს, თვალეში ცრემლემა მოადგა და დაი-  
 წყო ქვითინით ტირილი — ასე კეკონება ერთათ-ერთი  
 შვილი გარდაეცვალათ.

მთელი ღამე თვალთ არ მოუხუჭავს.

მეორე დღეს, დილა ადრიანათ წავიდა სამუშაოთ  
 და თავისი საუბარელი ჩიტუნის საძებნელათ.

— ბელურა! ბელურა! სადა ხარ, ჩემო უენო ბე-  
 ლურავ, ასე გაჭკიოდა ბერეკაცი და მინდორ ტეეში  
 დაემებდა თავის ჩიტს.

ბელურამ კარგათ იცოდა ბერეკაცის სმა; გაიკოა



ნა ეს უვირილი. მაშინათვე გამოფრინდა თანვისნი ბინიდან, მიეკება ბერიკაცს და მადლობა უთხრა ნახვისათვის.

ბერიკაცს თვალში ცრემლია მოადგა სინარულისგან.

— როგორა ხარ, ჩემო კარგო! ჰკითხა მან.— შენი უნახაობით მთელი ღამე არა მძინებია, უშენობით გული დამიდარდიანდა, ვეღარ გავძელ, ავდექი და წამოველი შენს სამებნელათ.

— გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო ბერიკაცო! სთქვა ჩიტუნამ.— აქ ცოტა არა მოუსწერებელი ადგილია ლაპარაკისთვის, წავიდეთ სასაღმრთო და ვიჯეროთ გული მასწავლით.

ბედურა გაუძღვა ბერიკაცს სასაღმრთოს: სასაღმრთოს ინდოეთის ლერწმის ჭაღბში იყო აშენებული და ლერწმითვე საუცხოვოთ დასურული.

დასვა მოსუცი საპატო ადგილას.

— მე შეგონა შენც ძალიან გამიჯავრდებოდნი, რომ სასამებელი შეეჭამე; შენ კი არამც თუ არ მიჯავრდები, შეწუსებულხარ კიდევაც ჩემი გულისთვის და წამოსულხარ ჩემს სამებნელათ. არ ვიცი, რით გადაგისადო, ჰაჰაჰ, ასეთი შენი პატივისცემა!

ბერიკაცმა ჩიქნია სელი და უპასუხა:

— რაზედ უნდა გავჯავრდებოდი, ჩემო მვირფასო მეგობარო! მე ცოტა არა შეგტუქსე კიდევაც ჩემი დედაბერი, რომ ასე ცუდათ მოგექცა შენ. აგრეც უნდოდა. თვითონ არის დამნაშავე — რატომ არ მოგცა თავის დროზედ საჭმელი... ოჰ, რა ძალიან დამადო-



ნა შენმა იქ არყოფნამ, მაგივრათ ახლა კი ბედნიერათ ვგრძნობ ჩემ თავს, რომ ცოცხალსა გხედავ.

ბელურა სხვა და სხვა ტკბილუეულობით კარგათ გაუმასპინძლდა თავის მოამ-გე ბერიკაცს, მერე თავი მოუყარა თავის ტოლამხანაგებს და ბერიკაცის წინაშე დაიწვეს ცეკვა-თამაში.

ბერიკაცს თავის გაჩენაში არ ეჭმა ასეთი მშვენიერი საჭმელები, იგი ზირუელათა ჭხედავდა ჩიტების ასეთს მოხდენილ თამაშ-კისკისს.

ბერიკაცი სულამოდის დარჩა ბელურასთან, როდესაც კარგათ მობინდდა დააპირა შინ წასვლა.

ბელურები არ უშვებდნენ, ეძუდარებოდნენ იქ დარჩენას.

— ჩემთვის აქ უოფნა ბაღიან კარგია, მიუგო მოსუცმა, მაგრამ სახლის დავიწვებაც არ შეიძლება, ჩემს დედაბურს ეკონება დავიკარგე სადმე და დაძიწვებს ძებნას.

— არა, არ გაგიშვებთ, ჩვენთან ერთი საძი-ოთ-სი დღე მაინც უნდა დარჩე! შენ ჩემთვის იმდენი სიკეთე დავითესია, თუ არ ესლა, ვერ შევძლებ საძი-გიეროს გადახდას. არა, ნუ წასვალ, დარჩი აქ ცოტახნობით მაინც!..

— ძალიან, გძაღლობთ, ჩემო ჩიტუნებო, მასპინძლობისთვის, მიუგო ბერიკაცმა:— დღეს მე უეჭველათ სახლში უნდა ვიყუე და შემდეგისთვის კი სშირ-სშირათ გაწვევით სოლმე.

— ახლა კი აღარ შემიძლიან მაგდენი თხოვნით



თავი მოგაბესრო. მხოლოდ ცოტაოდენი უნდა მომიცადოდო — საჩუქარი რამ უნდა გაგატანო თან!

სთქვა ეს ბელურამ და სარდაფიდან ამოიტანა ორი მშვენიერი დაწნული კალათი და უთხრა:

— აი ეს ორი კალათა, ერთი მათგანი მძიმეა, მეორე კი სუბბუქი, აიღე ის, რომელიც მოგწონდეს.

— რათა სწუხდები, ჩემო მეგობარო! მაგრამ რომ არ გეწეინოს, ავიღებ ერთს კალათას.

— რომელს? მძიმესა, თუ სუბბუქს?

— მე დაუძღურებული ვარ, ჩემი ბებერი ჯანი ვერ შესძლებს მძიმე ტვირთის ზიდვას.

— მამ თუ ეგრეა, აიღე სუბბუქი, უთხრა ბელურამ და მისთავაზა სუბბუქი კალათა.

წამოიკიდა ბერიკაცმა კალათა, მადლობა გადაუხადა მეგობარს, გამოეთხოვა მის ამსახაგებსაც და წავიდა სახლში.

დედაბერი დიდისხანია მოელოდა თავის მოხუცს და ბრახობდა, რომ მან აგრე დაიგვიანა. საბრაზით გარეთ გამოუარდა და ახლა აქ დაიწეო ცქერა.

უეცრივე თვალი მოჰკერა რილათიც დატვირთულ ბერიკაცს, გაექანა და მიუარდა მას ამ სიტყვებით:

— აქამდის სად ბრძანდები? არ იცი, რომ სახლში მოგელის ვინმე?

— ნუ მიჯავრდები, ჩემო კარგო, დინჯათ უნა-სუხა მთლან გაოფლიანებულმა ბერიკაცმა. დღეს მე ჩემს მეგობარ ბელურასთან გავატარე დრო. აბა ერთი შესედე რა საჩუქარი წამოვიღე!



სთქვა ეს, მოისსნა ზურგიდან მშვენიერი თუნუ-  
ქით დაგებული კაღათა, დასდვა ძირს და დაუმატა:

— ჩემმა მეგობარმა ორი კაღათა გამომიტანა—  
ერთი მძიმე და მეორე სუბზექი და მთხოვა ამომეწა-  
ნია ის, რომელიც მომეწონებოდა. დიდი კაღათის  
თრეყას ჩემი ჯანი ვერ ზიტანდა და სუბზექი კაღათა  
აჯარჩიე.

აბა ახლა გავძინჯოთ—ძიგ რა უნდა იყვეს!

კაღათა სანქაროთ გასსნა დედებრმა; დაინახნ  
თუ არა მკარფასი ნივთები, ბერიკაცის დაღლილთა-  
ბას უურბდებოდა არ მიანქცია, იგი სულ მთლათ გაძეშ-  
და, გაქვავდა.. კაღათაში აუარებელი სიმდიდრე ელთა-  
ვა: ოქრო, ვერცხლი, სსვა და სსვა მკარფასი ქვები.

ბერიკაციც გაცდა ამ სანახაობით. შესტა, შე-  
მოტრიალდა, ჩიორასამებრ კინაღამ არ ჩამოუარა.

დედაბერი კი გაჯავრდა, შეუტია ბებერს, დაუწყო  
ლანძღვა:

— შე გამოჩერჩეტებულო, უჭკუო ბებრუცანავ  
შენ! სადა გქონდა ჭკუა-გონება, როდესაც ამ ჰაწაწი-  
ნა კაღათას არჩევდი! როგორ არა გრძნობდი ამას,  
რომ, თუ ამ ჰატარა კაღათაში ამდენი სიმდიდრე ჩა-  
ეტია, დიდს კაღათაში სომ უფრო ბევრი იქნებოდა.

— დედაბერო, მაგისთანა ლაპარაკით ნუ გმობ  
ზეცას, უპასუსა ბერიკაცმა,— იმითი უნდა კმაყოფილი  
ვიუვნეთ, რის წუგლობაც ღმერთმა ჩვენთვის გამოი-  
შეტა

— არა, არა! შენ სტეუი.ბეღურას რომ შენთვის



ორი კალთა არ ეხვენებინა, მაშინ მე არაფერს ვიტყვოდი. მაგრამ შენ სომ გითხრეს რომელიც გინდა ის წაიღეო, აბა ამახედ როგორ არ გაკლანძლო. არა, არა, მე თვითონ უნდა წავიდე ბელურასთან, მეტი ჩარა არ არის და ის კალთა შეჭველათ უნდა წამოვიღო.

ბერიკაცმა რამდენი უშალა არ წასულიყო, მაგრამ ვერა გააწეო რა.

წავიდა დედაბერი ბელურას საძებნელათ.

ბერიკაცის წასვლის შემდეგ ბელურებს ჩაკეციანათ ჭიშკრის კარები. ესენი ერთათ შეკრეფილიყვნენ და დიდი სჯა-ბასი ქონდათ ბერიკაცსედა და დედაბერსედ. ბერიკაცს უქებდენ სათნობას, გულგუთილობას, დედაბერს კი ლანძლავდენ და ათრეკდენ იმ სიბოროტისთვის, რაც სიბოროტე მიაყენა მან თავიანთ მეგობარ ბელურას.

როდესაც ბელურები ასეთს სჯა ბასში იყვნენ, საშინელი კარის რაკუნი მოესმათ და ამასთანავე ადამიანის სმაც.

— მასწინძელო! შინა სარ, თუ არა?

შემინებულმა ბელურებმა გააღეს კარები და თვალწინ წარუდგა ის ბოროტი დედაკაცი, რომელმაც ბელურას ენა ამოსჭრა.

— „ძაღლის სსენებაზედ“ გაიფიქრეს ჩიტუნებმა. შეიპატოვეს დედაბერი ბელურებმა დიდის მოკრძალებითა და ჰატყით.

დედაბერმა ხელები ჩაიქნია.

— არა, მე მანდ შემოსულისთვის არა მცალობანს; მე მხოლოთ იმისთვის მოვედი, რომ ის დიდი კალათა, რომლის წამოღებაზედაც ჩემმა უბედურმა ბერიკაცმა უარი სთქვა, მე უნდა წავიღო, მე საჩუქარი მინდა და არა თქვენი ბრიყული ცეკვა-სტუნვა და ტკბილი საჭმელებით მუცლის გამოძება.

დედაბრის ამ საქციელით ბედურები გაკვირდნენ და გაოცდნენ.

— ძამ კარგი, წაიღეთ, თუ კი შესძლებთ წაღებას. ზატარა კალათა თქვენმა ქმარმა წაიღო და დიდი და მძიმე კალათადა დაწნა.

— სწორეთ ეგ მძიმე კალათა უნდა მოძვეთ, უთხრა დედაბერმა, როგორცა მსედამთ მე უფრო ძარღვ-სორციანის ვარ, ვინემ ჩემი ბებრუცანა. რამდენიც უნდა ნივთი იყვეს შიგ, მე შემძლიან რომ ვატარო.

ბედურები ჩავიდნენ სარდაფში და ცოტახნის შემდეგ ამოუტანეს დედაბერს მძიმე კალათა და დაუდგეს წინ.

დედაბერმა სინარულით ხელი მოაულო და სთქვა:

— ესლა მე აქ საქმე აღარა მქვს რა, წავალ სახლში.

წამოიკიდა კალათა მხარხედ, ბედურებს არც კი გამოემშვიდობა და გაუდგა გზას.

კალათა მეტის მეტათ მძიმე გამოდგა, სიმძიმისგან დედაბერს ზურგი ესნიქებოდა, სამათ იყო მოკაკული მეტი სიმძიმისგან, ოფლი წურწურით ჩამოს-



დიოდა. ქნეშითა და კვნესით რის ვაივგლანსით შიო-  
 წეკდა წინ.

ერთი აზრი ღა ანუკეშებდა და აღსენდა, რომ  
 ამ კალათაში უფრო ბევრი მვირუასნი ნიუთი იქნებო-  
 და.

ძალე მოიქანცა დედაბერი, ფესში ძალა გამოე-  
 ღია, მსრები დაუდუნდა და იქვე სის ძირას დაჯდა  
 დასასვენებლათ.

დედაბერი ცნობის-მოუვარულობამ შეიპერო, სულ-  
 მა წასძლია და მივიდა კალათასთან და დაიწყო ცო-  
 დვილობა.

— ნეტა რა უნდა იევეს ამ კალათაში ჩამალული?  
 რითი უნდა იევეს იგი სამსე? ესლაჟე უნდა გავშინ-  
 ჯო, გული არ მითმენს.

სიხარულის აღი მოედო მის ჰირისასეს. ორივე  
 ხელები მოსჭიდა კალათას და სასურავი აავლიჯა.

— ოჲ, უბედურებაჲ! დედაბერს თავსარი დაეცა,  
 შიშმა აიტანა, აცახცახდა... უკან დაიწია... კალათი-  
 დან თავი ამოეყო საშინელ, უსარძასარ ცსოველებს:  
 უშველებელ მწვანე თვალთან ჯოჯოს, სამთვალთან  
 გველს, გველ-სოკერას და სხვებს.

ეველა ესენი ჰირ-დაღებულები ეტანებოდენ მას.  
 შეშინებულმა დედაბერმა მიატოვა იქ კალათი და  
 მოცხრილა შინიკენ.

რის ვაი-ვაგლანსობით მივიდა შინ და ეველა თა-  
 ვის თავგადანსავალი უამბო ბერიკაცს.

ბერიკაცს არ გაუკვირდა ეს თავ გადასავალი, ში-  
სვდა იგი, რომ სისარბეს ამისთანა ამბები მოსდევს.

ესლა უველგან ამბობენ, რომ ამ შემთხვევის შემ-  
დეგ, დედაბერი სულ მთლათ გამოიცვალა და გულ-  
კეთილობით თავის ბერიკაცს დაემსგავსაო.

ალექს. ნათაძე.





# ფუტკართა დედოფალი

VII



ეორე დღეს დედოფალი თავის მცველე-  
ბით გამობრძანდა და დაძახდებულ ფი-  
ჭებს ჩამოუარა. თითო კოლოფში ის  
თითო მოკრძო თეთრ კვერცხსა სდებდა.  
მსახური ფუტკრები დრო გამოძვებით მას თითო წვეთ  
თაფლს აწვდიდენ და როცა დედოფალი დასასვენებ-  
ლათ დაჯდებოდა ფრთებს უსუფთავებდენ.


სამი დღის შემდეგ ამ კვერცხებიდან თეთრი მატ-  
კლები გამოვიდენ, ამ მატლებს სულ სციოდათ და  
შიოდათ. მუშა ფუტკრები ათბობდენ მათ: ისინი ჯდე-  
ბოდენ იმ ფიჭებსზე, სადაც მატლებია და ისე ათბო-  
ბდენ.

მუშა ფუტკრებს ცუდი დღე დაუდგათ. სულ ამათ  
კისერზე იყო ამოდენა ახალთაობის მოვლა. ცხრა  
დღის შემდეგ მატლი ისე გაიზრდება, რომ ძლივს  
ეტევა ფიჭში. მერე ის უძვებს ჰირიდან აბლახუდის-  
თანა ძაფს, იხვევს გარს და შიგ დაიძინებს. მაშინ  
მუშა ფუტკრები ამათ ზეიდან ფიჭის სახურავებს ახუ-  
რავენ, რომ არავინ შეაწუხოს ძილის დროს. გავიდა  
ოცი დღე და გაიღვიძა მატლმა, გამოძვრა თავის  
ოთანხიდან, მაგრამ ესლა მატლათ კი არა—ახალგაზდა  
ფუტკრათ, იმან გადაღრღნა აბლახუდის ძაფი, ფიჭის



სახურავი და მსიარული ბზუილით გამოფრინდა გარეთ.

ბების ბურბრუშკა ძალიან კმეოფილი იყო. ზირველ დღეს ორი ათასი ახალი ფუტკარი გამოიჩიკა, და უოველ დღე კიდევ ამდენი გამოიჩიკებოდა\*).



— აბა, დებო, მიძარბა მან ახალგაზრდა ფუტკრებს, — დაისვენეთ, თაფლი მიირთვიეთ და მერე მუშაობას მიჭვეთ სელი, ქუჩებში ნუ გასვალთ იმიტომ, რომ ჯერ გამოუცდელები ხართ; თქვენ სკაში უნდა იმუშაოთ: აშენოთ ფიჭის ოთახები, მოძავალი ფუტკ

\*) ამ სურათზე დახატულია თაფლიანი ფიჭი და მუშა ფუტკარი, მერე ნაჩვენებია კვერცხები, საიდანაც გამოდიან ახალი ფუტკრები. ქვევით, მარცხნივ, დახატულია ფუტკართა დედოფალი, გვერდით ნაჩვენებია როგორ თან და თან კვერცხში იზრდება ფუტკარი.



კრები გაბთბოთ და ანაზრდოთ, გასსოვდეთ თქვენი  
საქმე!

## VIII

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მისცეს ნება  
ანაზრდას ფუტკრებს გამოხსულიყვენ სკიდან. და  
თან დიდი ამბით დაარბიეს გამოცდილმა ფუტკრებმა,  
რომ შორს არ გაფრენილიყვენ სკიდან, თორემ ან  
ობობას ქსელში გაებმებოდენ, ან მერცხალი და ან კიდევ  
ბაუაუი ჩაულანჯავდა მათ. ზუმ-ზუმა ამ დროს გაიძვერა  
კრანანას დაუძვერობდა. კრანანა ასე ფიქრობდა:  
„ეს ფუტკარი სულელია და მოდი ერთი კარგა ვისა-  
რგებლებ ამის სულელობითო“ და ერთსელ ჭკითსა:

— ვეკლა თაფლიანი ფიჭები ვადასურეთ?

— არა, სულ არა, უნასუსა ზუმ-ზუმამ.

— ეს კარგია! სთქვა კრანანამ—ძალიან მინ-  
დოდა თქვენთან მოსვლა! შეძიშვებ სკაში, როცა შენ  
იქნები დარაჯათ?

— დიდი სიამოვნებით! რო მოსვალ, უამბე ჩემ  
ამხანაგებს, თუ რა კარგია თავისუფლათ ცხოვრება,  
თორემ არა სჯერათ. მე სვალ დილით ვიქნები სკა-  
ში დარაჯათ და მაშინ მოდი.

— კარგი! მიუგო განარებულმა კრანანამ, ნა-  
სყამდის, ზუმ-ზუმ!

დილა ადრინ კრანანა ეწვია ზუმ-ზუმას და იმა-  
ნაც შეუძვა სკაში.

— ვაი თუ ეს კრანანა ჩვენ სკაში ტუილათ  
შეუძვით, უთხრა ზუმ-ზუმას ერთმა ამხანაგთაგანმა.

— ფიქრი ნუ გაქვს ეს ძალიან ჭკვიანი კრანა-

ნაა, აუსსნის ჩვენ ამხანაგებს, რომ დროა მივატოვოთ ვოთ სკა და თავისუფლათ ვიცხოვროთ.

მაგრამ ზუმ-ზუმამ ვერც-კი გაათავა თავისი ლაპარაკი, რომ მთელ სკაში ერთი ბზუილი და უვირილი ხტედა.

— დაიჭირეთ, დაიჭირეთ, უხაღი, არ გაუშვათ!

ზუმ-ზუმა შეკრთა და უცებ დაინახა, რომ იმისი მიკობარი კრახანა შეძინებული მიქროდა და თან მიჭქანდა მოპარული ფუტკარის მატლი, როდესაც მიუხსლოვდა განსასვლელს, გაისწორა ფრთები და ისარივით გაემურა მინდვრებისაკენ.

IX

კრახანა ვაფრინდა, მაგრამ სკაში კიდე დიდხანს იყო აღიარებითი და აურ-საური.

— ვინ ვაბედა, ვინ შემოუშვა ეგ ავაზაკი სკაში?

— ჩვენ არ დაგვინახავს კრახანა! უპასუხა ზუმ-ზუმამ.

— რასაკვირველია არ დაგვინახავს, თორემ განა შემოუშვებდით, სთქვა მეორე ფუტკარმა.

— მერე რა ჩაიდინა კრახანამ? იკითხა შიშისაგან აცანცანებულმა ზუმ-ზუმამ.

— ჯერ დაუსურავ თაფლიან ფიჭებს მივაპარა და კარგა გამოძღა ჩვენი თაფლით, მერე მიუსტა ჩვენ ჰაწაწინებს, რამოდენიმე დაჭკბინა, ერთ ერთი კი სულ მოიტაცა. თქვენ—თქვენ ხართ უველაფერში დამნაშავენი! განა ეგრე დარაჯობენ სკას?

საღამოთი ფუტკარებმა საიდღანაც მოიტანეს ხის წებო, დააკორგოლავეს და სკის შესავალს ააკრეს,

ისე რომ სულ დაანატარავეს შესავალი. ახალგაზრდა ფუტკრებმა არ გასცეს ზუმ-ზუმა, მაგრამ ჩუმათ კი უსაუვედურებდენ მას.

— დიდი საქმეა, უნასუსებდა ზუმ-ზუმა; რამდენიმე მატლი თუ მოკვდა, უფრო კარგი—მჭამელი დაგვაკლდება. დაცნადეთ ახალი დედოფალი რომ გვეყოლება, მაშინ სულ სსება დრო დაგვიდგება. ჩვენ სულ აღარ ვიმუშავეთ, ვიქნებით ჩვენთვის თავისუფლათ!

## X

სკაში დიდი დღესასწაული დადგა. დედოფალს უნდა ახალი კვერცხები დაედო, საიდანაც მომავალი დედოფლები უნდა გამოჩეკილიყვენ. ამისთვის მოდიოდნო ფიჭის კოლოფები იყო დამზადებული. კვერცხების დადების წინ დედოფალმა შეჭუარბ თავისი ხალხი და უთხრა: „ესლბ ჩვენი ჩვეულებისამებრ უნდა კვერცხები დაედო, საიდანაც მომავალი დედოფლები გაამოიჩეკებინან. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ თუ ვინიცობაა მე რამე დამეძარტოს თქვენ უდედოფლოთ არ დაჩეთ. მაგრამ როცა ისინი წამოიზრდებინან, მაშინ ჩემ და მათ შორის საშინელი ჩხუბი ასტკდება იმაზე, თუ ვის ერგება ზირველობა. მე თითონ მახსოვს, როგორ დავაძარცხე ჩემი დედა-დედოფალი, როდესაც წამოვიზარდე და თქვენ დედოფლათ ამომარჩიეთ. ესლაც შეიძლება ასე მოხდეს. მომეცით სიტება, რომ თქვენ მე მომესძარებით, როდესაც ჩემ შვილებთან მექნება ბრძოლა“. მოსუცებულმა ფუტკრებმა სიტება მისცეს დედოფალს, რომ იმის მხარეს

დაიჭერენ ბრძოლის დროს, მაგრამ ასაღვასდა ფუტკრები და ზუმზუმი კი უსაღისოთ უპასუხებდენ.

დედოფალი დაწინარდა

ბატონიშვილის საწოლებს მცველები მუყაითათ დარაჯობდენ. ისინი უხვათ აჭკვედენ მათ საუკეთესოთაფლს. ამ თაფლში სურნელოვან ვევაგილთა მტვერს ურევდენ. ზატარებიც, ასეთი კარგი მოვლით, რასაკვირველია უფრო საღები და დიდრონები იზრდებოდენ.

— ვეელა ჩვენგანს შეუძლია დედოფლათ გახდეს, იტეოდა ხოლმე ბურბრუმკა, — თუ კი ჩვენც ზატარაობიდანვე ისე გაგვზრდიდენ და მოგვევლიდენ როგორც ამ ბატონიშვილებს უვლიან და ასაზრდოებენ.

ვეელა სკაში გარდა დედოფლისა და შემკვიდრე ფუტკრებისა კიდე მუქთა ხორა ბატონიშვილები არიან. ეს მუქთა ხორა ფუტკრები არაჟურს აკეთებენ, მოუსემავეები არიან და მთელი დღეები სულ ჭამასმაში ატარებენ.

## XI

დედოფლის ეურამდისაც მიახწია, რომ ასაღვასზრდა ფუტკრები იმის წინააღმდეგები არიან. იმან დაუძახა ბურბრუმკას და უთხრა:

— შენ მე მარწმუნებდი, რომ ჩემ ხალხს ვუყვარვარ და ვეელა შემომწირავს სიცოცხლესაო, მე კი ეხლა სულ სხვა შესმის.

— დიას, დედოფალო, ამოიოხრა ბურბრუმკამ, — უნდა გითხრა, რომ შევცდი — მართალია, ასაღვასზრდა ფუტკრები შენი წინააღმდეგები არიან

დაღონებულმა დედოფალმა თავი დასარბ და  
სთქვა:

— მე შემიძლია მოკვლა ესლბვე ვველა მეძვეი-  
დრეები და ამითი მოვსპო მეუობა, მაგრამ ამ სპ-  
შინელებას ვერ ჩავიდენ! სკა უდედოფლოთ ვერ იხე-  
ირებს.

— რასაკვირველია, უპასუსა ბურბრუმკამ,—ჩვენ  
მოსუცებული ფუტკრები არ გაგცემთ შენ და დაგეს-  
მარებით, მაგრამ, თუ ვინიცობა ასალგასდა მეძვეი-  
დრემ გაჯობა, მაშინ ჩვენ გავნცალკვედეთ, გავფრინ-  
დეთ აქედან, ქვეყნა დიღია, ვველასთვის იქნება ალბაგი.

— შენ მართალს ამბობ!—სთქვა გამხნევებულმა  
დედოფალმა.—მაშ აი რას გეტყვი: ესლბვე გაგსავნე  
საუკეთესო ფუტკრები, რომ კაი ალბაგი მოსძებნონ  
ჩვენი ასალი სასელმწიფოსათვის.

იმავე დღეს რამდენიმე ფუტკარი წავიდა ასალი  
ბინის სამებნელათ და კარგი ალბაგიც იმოვეს. სკის  
მოძორებით, ნაკერხლის ფულუროში მშვენიერი აღ-  
გილი იყო სკისთვის: გარშემო სულ ვვავილებით  
სავსე მინდვრები ივეენ. იმ ღამესვე გავარდა სმა, რომ  
დედოფალი თავს ანებებს თავის სკას და სსვავან გადადის.

სკაში გუგუნ-ბუსუნნი ასტედა. ზოგი მეძვეიდრის  
აკვნებს შემოესვია, ზოგი დედოფალს.

— აჩქარდით ფუტკრებო, ბსუოდენ ზოგი ფუტ-  
კრები:—ვინც ასალ დედოფალთან რჩებით, იმათ  
აკვნებთან დადქით. ვისაც არ უნდა და ძველ დედო-  
ფალთან მიდით.

ფუტკრებიც ორ რიგათ გაივეენ. ერთი ნაწილი



ბატონიშვილის აკვნებს მიუდგენ, მეორე კი დედოფალს შემოესვიენ. ჰირველი დედოფალი გამოფრინდა სკიდან და მას მიჰყვა მთელი მისი მომსრე ამაღა.

XII

ახალი სკისთვის ამორჩეული ნაკერხლის ფულურო შორს არ იყო, მაგრამ სანამ შიგ შევიდოდა, დედოფალმა უბძანა დაესვენათ. რამდენიმე ფუტკარი ნაკერხლის ტოტს მოეკიდა, ამათ ქვეიდან სხვა ფუტკრები ჩამოეკიდენ, ამათ კიდევ სხვები—ისე რომ, ძალე რაც კი ფუტკრები იქვენ უკულა ცოცხალ ჰარკათ ტოტს ჩამოეკიდენ. ამ ცოცხალ ჰარკის შუ-





ამი კი დედოფალი მოთავსდა. ის ესლა უშიძარ ალა-  
 კას იყო. რაც უნდა ქარიშხალი ატყენდიყო, ან წვი-  
 მა და თოვლი მოსულიყო იმას არა უშავდა რა,  
 ფუტკრები თავს არ დაანებებდენ და გაათბობდენ მას.

— ფრთხილათ! დაიუვირეს ქვეითა ფუტკრებმა:  
 ადამიანი მოდის.

— ხელი არ ასლოთ მაგას, არ უკბინოთ, ბრძა-  
 ნა დედოფალმა: ეკ დაგვისხნის ჩვენ.

ადამიანს ხელში გძელი ჯოხი ეჭირა, დიდი  
 სუფრა და სის ეუთი. ის მოუახლოვდა ფუტკრებს,  
 მათ ქვეშ მიწასე სუფრა გაშალა და მერე ჯოხით  
 მძლავრათ შეარსია ტოტი, რომელსედაც ფუტკრები  
 ეკიდენ. ფუტკრები მთლიანათ სუფრასე დაეცენ, ადა-  
 მიანმა კი ეველანი ასალ სკაში მათათავსა.

— ოჰ, როგორ მისარია, ამბობდა დედოფალი!  
 უკურეთ ერთი რა დიდი სკა გვაქვს. ადამიანის მა-  
 დლიერი უნდა ვიყოთ.





ფუტკრებიც მსიარულათ ბზუოდენ და ახალ სკას ათვალერებდენ

— აბა ჩქარა, დებო, საქმეს მივეოთ სელი, მსიარულათ წამოიძახსა ბურბრუშკამ,—უნდა ჩქარა და კარგა მოვაწყოთ ჩვენი ახალი სკა:

რამოდენიმე ათასი თათი შეუდგა მუშაობას. სოკი ფუტკრები სანთლით ლესავდენ სკის ნახვრეტებს ჭუჭრუტანებს, სოკი ფიჭის უჯრებს აკეთებდენ თაფლისთვის და კვერცხებისთვის

სკის ჰატრონი ბებერი სესიკა კი იდგა სკასთან, უურს უკლებდა ფუტკრების მსიარულ გუგუნს და იღიპებოდა.

(დასასრული)

იტა.





## ყმაწვილებს.

მაწვილებო! ფრთხილათ  
იუხუთ,  
ნუ გაკრთობთ ბნელი წუკდიადი,  
სადღაც არის გათუნდება,  
დაკიდებთ დღე დიადი.

ე. ჩხიძე





## ა ნ ღ ა ზ ე ბ ი .

(წარმოდგენილი არგელაძისაგან)

ას მკეთებელს ერთი მტვრეველი აუვა.

აიღე ღონეს ჰკითხე, დახარჯე და ქონებას.

კბილი კბილს რომ მოხვდება, მუცელი კარს გააღებსო.

ზღვას ემალებოდა და ცვარმა დაახრჩო.

ძაღლმა კბენა არ იცოდა—კაცმა ასწავლიაო.

## გ ა მ ო ო ო ა ნ ე მ ბ ი .

(წარმოდგენილი კასხეუბუღ ად. შირაქაშვილისაგან).

ჩემს ყმაწვილობაში კბილს დაუჭრა ყველასა,  
როცა რომ დავმწიფდები, ყელს დაუწობ ყველასა,  
როცა დავვაჟაკდები, თვალს ვუბრმავებ ყველასა,  
როცა კი დაებერდები პირს დაუტკობ ყველასა.

თითონ იწვის, საიდუმლოს კი მალავს.

ერთი ცხვარი მყავს, რომ დავკლა სისხლი არ გამოუვა.



კ ე ბ უ ს ი.

კ



კ

ყუარნისიგან  
რა კეთდება?

მ

მინდლორი ანუ?

ბაასი ანუ?

პური რას იყო-  
დებს?



კ

კავსიაში  
მცხოვრები  
ხაღი.

ს

საფენი ანუ?

მ



დ

ქალის სახელი.



დ




რა ამშვენებს ქალს?

ნ



გამოცანებია: კლიტე, ქინძისთავი, ქალამანი, ახალი მთვარე.

## ხარის გოდება.



არმა სთქვა: „დღენი დავლიე  
შავ მიწის ხენა-ფარცხვაშია,  
სისოცხლე ჩენიც დავლიე,  
დავლიე სისხლის ღვრაშია;

ვერ გავიხარე, დღე ჩემი  
ვარ ტანჯვა წვალემაშია,  
დილიდან საღამომდისინ  
ვიწურვი ჭირის ოფლშია.

მთლათ მტკივა კისრის ძარღვები,  
ფეხები აღარ მერჩიან;  
მაგრამა ვის ვეცოდები,  
ვის აფუტირდე, ვინ სჯიან!?  
ვეწევი ღონე მიხდილი,  
ფეხები აღარ მყვებიან, —  
მიწას ღა დავლოკ, ვეცემი,  
სისხლისა კვლები მყვებიან!..

მაგრამ, მაცლიან სიკვდილსა?!  
ბაზრისკენ წამიყვანებენ,  
იქ მიმაყიდვენ ყასაბსა,  
საკლავათ გარიყვანებენ,  
წამომაქცევენ, საწყალსა  
ფეხებსაც გამიბაწრავენ,  
ყელს დამაბჯენენ ხანჯალსა,  
ცულით თავს მომაშორებენ!“

მის. გერმანაშვილი.

## სსპის აზარა.



ოულოდნელი ამბავი მოხდა. პატარა ნუცას მამა ნასყიდა ომში წაიყვანეს. სულ ობლათ დარჩა ნუცა. შარშან დედა ხარის ყვავილმა მოუკლა მას და წრეულს კიდევ მამა ხელიდან გამოეცალა. ნეტავი ერთხელ მაინც კიდევ მოხვეოდა კისერზე თავის მამას!

ჯარში გაწვეული ახალგაზღობა სოფელს თელათწყაროდან, ყველა ისეთი აჩქარებით წაიყვანეს, რომ ბევრმა ნათესავებისა და მახლობლების გამოთხოვებაც ვერ მოასწრო. ნასყიდა ხომ სახლშიაც არ დაბრუნებულა, ის სამუშაოდანვე გაგზავნეს ქალაქს. თავისი პატარა ნუცა მას აღარ უნახავს. მაგრამ სოფელში მალე ყველაფერი შეიტყეს. ნუცამ რომ გაიგო მამის წაყვანა, კინაღამ ჭკუაზე შეიშალა. დიდხანს იდგა პატარა გოგონა ერთ ადგილას გაქვავებული! ნუცას მუდამ სიციცხლით სავსე შავი თვალები, ახლა გაშტერებული, სადღაც შორს უაზროთ გაიყურებოდნენ. პირის-სახეზე აწითლებულს, თითქოს სუნთქვაც კი შეჰკრთოდა საბრალოს! განვლო ერთმა წუთმა და გონებას მოსული ბავში, ახლა რაღაც კანკალმა აიტანა. ღონე მიხდილს ფეხები მოეკვეთა და ძირს მიწაზე ზარზარით დაეცა. შემზარავი ხმით ღრიალებდა უბედური ნუცა!

ის გრძნობდა, რომ მამა აღარ დაუბრუნდებოდა და უპატრონოთ დატოვებული, უნდა სხვის ამართ დარჩენილიყო. ან ვის შესტკიოდა ამისთვის გული? ვის მისდგომოდა პატარა გოგონა კარებზე ერთი ლუკმა პურისათვის?

ნუცას მამა ნასყიდა სოფელში მეტათ ღარიბათ ცხოვრობდა. არაფერი არა გააჩნდარა. სახლის ჭერიც კი არ ებადა, რომ თავი შეეფარებინა. თელათწყაროში ერთ ოთახს ქირაობდა და მთელი მისი ავლა-დიდებას, — შეადგენდა მისი მარჯვენა ხელი. პატარა ნუცას თავის მამის ქონებიდან მარტო ერთი.



მუთაქა და დაგლეჯილი საბანი დარჩა! ასეთი უმწეო და აუტანელი იყო ნუცას მდგომარეობა.

სოფელი რა დახმარებას გაუწევდა მას? ყველას თავისი დარდი და ვარამი აწუხებდა. აგერ რამდენი ხანია თელათწყაროელებს თავის შექცევა და სიმზიარულე აღარ უნახავს. სოფელი შავებში იჯდა და ომში დაღუპულს შვილებსა და მამებს სტიროდა.

რა ექნა ნუცას, ცის ქვეშ, მშიერ-მწყურვალე ხომ არ მოკვდებოდა? ნუცა ჯერ ხომ პატარაა, ცხოვრებისა არა გაეგებარა. რა იცოდა, თუ როგორ ირჩენს ხალხი თავს, ან მამა როგორ ასაზრდოებდა! ნუცას მარტო უყვარდა თავისი ნასყიდა და ქვეყნათ აქამდე თავს უღარდელათ გრძნობდა.

ნუცას მამასა და პაპას არ უცხოვრნია სხვის შრომითა. სოფელში მოწყალეობაზე და სამადლოთ ყოფნას, ნუცამ თავის ჯანით რჩენა მოინდომა.

სოფელს თელათწყაროს გარეთ, რამდენიმე მანძილზე ცხოვრობდნენ ხალხში დიდათ განთქმული მეწისქვილე ნინიკა და მისი ცოლი საბედო. არ იყო ამათ ხეობაში კაცი, რომელიც კი მათ არ იცნობდა. პურადი და ტკბილი ენის პატრონი იყო ცოლიცა და ქმარიც. როგორ იქნებოდა, რომ გზაში დაგვიანებული და გაჭირვებული ნინიკას არ სწვევოდა და იმის სახლში პური არ გაეტეხა! ნინიკა თავის გულს ყველას დიდსა და პატარას თანაბრათ გადაუშლიდა ხოლმე. მაგრამ ცოლიცა და ქმარიც ღრმით მოხუცებულიყვენ და ხშირათ ავათმყოფობდნენ. მათთვის საჭირო იყო ისეთი პირი, რომელიც სახლში და გარეთ მოეხმარებოდა მათ.

აი, სწორეთ ამათ მიეკედლა პატარა ნუცა. ამათ ოჯახში ჯაფა და საზრუნავი მეტათ ბევრი ჰქონდა. პატარა გოგონა უნდა წელში მოხრილს ბებრებსა და მიმსვლელ-მომსვლელსაც გასძლოლოდა. მთელი დღე იმისი ფეხი არ ჩაიკეცებოდა. დაჰვიდა დილით სახლს, დაასუფთავებდა, შემდეგ ნინიკასა და საბედოს დაანაყრებდა, გარეკავდა ხბოსა და ცხვრებს იქვე ჭალაში და მარდათ წისქვილში გაჩნდებოდა. ნუცას გამჭირაბობა და საქმის სიყვარული ყველა მნახველს აკვირვებდა, სულ რაღაცას აკეთებდა, აქ ფქვილს აგროვებდა ნიჩბით, ჰკრეფდა ტომარაში, იქ ძაბრში ხორბლის რაოდენობას სინჯავდა და ხან კიდევ გარეთ გარბოდა რუების დასათვალიერებლათ.

— გაქირებას მოუყვანია ეს პატარა ამ წისქვილშიო, იძახდა ყველა და გულისკანკალით შესცქეროდა პატარა ნუცას სარისტიანობას. მართლაც და სად გაგონილა უსუსური ბავშისგან ვაჟკაცის საქმის გაკეთება?

შემოდგომის ერთ ღამეს ძალზედ ბნელოდა და ზენა ქარი ქროდა. თითქოს ქვეყანა ინგრევაო, ქარისაგან ახმაურებული მთა და მინდორს საშინელი გრგვინა გაჰქონდა. თითო ოროლა წვიმის წვეთები მალლიდან დიდის რახუნით ეცემოდნენ წისქვილის კედელს. ტიალი ზენა ქარი კი საზარლათ გასწოდა და კვნესოდა. ამ საშინელ დროს პატარა ნუცა იყო მარტოკა წისქვილში და ძალზედ შემკრთალი მაგრა ჩაკეტილ კარებისაყენ იყურებოდა. ნეტა როდის მოვიდოდა ან საფეკვის, ან წისქვილის პატრონი!

— არ გავაკეთო ის ოხერი? ან რა პასუხი გავცე? მეტყვიან არ დაგიფქვავო .. მალ-მალ ეკითხებოდა თავის-თავს ნუცა წისქვილის ერთი თვალის გაჩერების გამო და ძალზე აღელვებული ხელებს და იტკაცუნებდა. ნუცას ეტყობოდა რომ ახლა მარტო კარზე გასვლაც ეშინოდა.

— ეჰ, რაც მოვა, მოვიდეს!., როგორც იყო გაბედა პატარამ და ერთ წამს სანათით ხელში ზედ წისქვილის ღარის სათავეზე ავიდა. რუს პირი მას მართლა დანგრეული დახვდა. საჭირო იყო რუს ამოწმენდა და ბორბალიც ამუშავდებოდა. მაგრამ ქარმა ერთი დაბერვით უცბათ სინათლე ჩაუქრო. საზარელი სიბნელით მოიცა არე-მარე, თვალში თითი არ წაიტაკებოდა. წვიმამ უმატა. პატარა ნუცა გაჩერებულიყო ერთ ადგილას და წასვლას ვერც აქეთ და ვერც იქით ველარ ახერხებდა. ერთი ნაბიჯი და თითქოს ნიადაგი გამოეცალა, დაუსხლტა ფეხი, საბრალო ნუცა წაბორძიკდა და ელვის სისწრაფით წყალმა ძირს წისქვილის ბორბლისაყენ კი გააქანა.

— მიშველე მამა! შეჰკივლა ნუცამ და მაშინვე ხმა ჩაკმინდა.

მეორე დღეს პატარა ნუცა იქვე წისქვილის ახლოს მკედარი იპოვნეს. ქალი და კაცი იმის ცოდვით ცრემლებათ იღვრებოდა.—



## მეფე ლირი.

შექმარისა.



კარგა ხანია მას აქეთ, ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ იყო შემოდებული, რომ ერთ დიდ მთებით გადაჭიმულ კუნძულზე, ბრიტანიაში, მეფობდა ლირი. იგი მიწების შეძენაზე და სამზღვრების გადიდებაზე ისე არა ფიქრობდა, როგორც თავის ქვეშევრდომების ბედნიერებაზე, რომელნიც სამაგიეროთ მას აღიდებდნენ. მეფე ფიცხი და ანჩხლი იყო; ყმაწვილობიდანვე დაჩვეული იყო, რომ ყველა მისი სურვილები უნდა ასრულებულიყო და არ იცოდა თავის შეკავება. ხშირათ ამბობდა: „ნურც დაიბაღოს ის, ვინც მე ურჩობას გამიწევსო“. მას აღრე მოუკვდა მფუღლე და სამი ქალიშვილი ობლათ დაურჩა: გონერილია, რეგანა და კორდელია. ლირს სამივე შვილი ძალიან უყვარდა; მაგრამ გული უფრო მიუღიოდა უნცროსზე—კორდელიაზე. ასე მიაღწია ლირმა ოთხმოც წლამდის. სიბერისაგან სხეული დაუსუსტდა, დაუავათმყოფდა, მოხუცებულობის გამო ხასიათიც გაუფუჭდა. კარის კაცთა ფლიდობამ და პირფერობამ სულ გააუზუნევა მოხუცი, იგი გახდა ანჩხლი, ბუზლუნა და ჟინიანი. უბრალო მიზეზი გულს მოაყვანინებდა. ოჯახისთვის და კარის კაცთათვის თან და თან აუტანელი გახდა-



უფროსი ქალი გონეროლია მიათხოვა ალბანიის ჰერცოგს, შუათანა ქალი კი, რეგანა, კორნეალის ჰერცოგს. უნცროსი ქალის, კორდელისას, გათხოვებას არა ჩქაროდა, თუმცა მასსაც ჰყვანდა მთხოვნელები — საფრანგეთის მეფე და ბურგონიის ჰერცოგი. არ უნდოდა გვერდიდან მოეშორებინა, რადგანაც სხვა შვილებზე მეტათ უყვარდა. ლირი ისე დაჩვეული იყო ბრძანებას და მეფობას, რომ არც ერთ ქალს არ აძლევდა მზითვეს — თავის საბრძანებლის ნაწილს. ყველა თავისთან ჰყავდა სასახლეში და პირდებოდა მათ, რომ სიკვდილის დროს ყველას თანასწორათ გაუნაწილებს სამეფოს.

თუმცა ლირს ძალიან უყვარდა მეფობა, მფლობელობა, მაგრამ დრომ და ჟამმა თავისი გაიტანა. თანდათან მძიმე და აუტანელ ტვირთათ მიიჩნია მეფობა და მოუვიდა აზრათ, რომ დროა ჩამომავლობას დაუთმოს თავისი საბრძანებელი.

სხვა რომ ყოფილიყო ლირის ადგილას, მეფობას სრულე-ბით თავს დაანებებდა, მისცემდა ყველაფერს ქალებს და თვი-თონ მოსვენებით იცხოვრებდა, მაგრამ გალაღებული, განე-ბიერებული მოხუცი უცნაურათ მოიქცა.

და აი ამ ოთხმოცი წლის მოხუცს, ჭკუით უკვე მისუს-ტებულს, უცნაური აზრი მოუვიდა თავში. მოულოდნელათ, ერთხელ თავის სატახტო დარბაზში თავი მოუყარა თავის ამა-ლას, კარის კაცთა, ქალებს ქმრებით, გასათხოვარ ქალს თავის საქმროებით. ავიდა თავის სამეფო ტახტზე, მოითხოვა სახელ-მწიფო რუქა და განაცხადა შემდეგი:

— საფლავამდის ველარ შევიძლებ ამ მძიმე ტვირთის ტა-რებას. ამიტომ მოვინდომე სიცოცხლეშივე გაგიყოთ ჩემი სა-მეფო: შვილებო, მითხარით რომელს თქვენგან, სამში ვუყვარ-ვარ მეტათ, რომ მეტი სიყვარულისთვის მეტი საჩუქარი მივცე.

უფროსი ქალები გონეროლია და რეგანა ბუნებით ჭკვიან-ები იყვნენ. მაგრამ უდევლათ აღზრდილნი, უცხოებთა შორის, მამისაგან სიყვარული არ ენახათ, ხშირათ ითმენდენ მამის გა-გულისებას. ამიტომაც გახდენ მცბიერნი და ვერაგნი ამათ დაინახეს, რომ მამას აღარა გაეგება რა და მოინდომეს მისი თვალების ახვევა მლიქვნელი სიტყვებით, რომლის გაგონება მოხუცებულს ისე დიდათ ესიაშოვნებოდა. ესენი ამ გვარი



პირფერობით მემკვიდრეობის მეტ ნაწილს ჩაიგდებდნენ ხელში. გონერლია და რეგანა ერთმანეთს არ აცლიდნენ და არწმუნებდნენ, რომ მამა მათ თვალის ჩინათ მიაჩნდათ, რომ შესწირავდნენ მამას ყოველივე სიმდიდრეს, სილამაზეს, დიდებას და თვით თავიანთ სიცოცხლესაც კი. მათ ბედნიერებას შეადგენს დიდებული მამის სიყვარული. ამ გვარმა ცბიერმა სიტყვებმა მოხიბლეს მოხუცი. მან ვერ გაარჩია მათი ფლიდობა, დაუჯერა ყველაფერი და ლირი მზათ არის გაუყოს მათ თანასწორათ სახელმწიფო. თანაც აღრვევ სტკბება იმ აზრით, რომ მისი საყვარელი უმცროსი ქალიშვილი უფრო მეტს ქებას შეასხამს თავის მამას.

კორდელია, რომელიც მამას ისე განსაკუთრებით უყვარდა და ამითი შურს იწვევდა დებში, იდგა ჩუმათ, მარცხვით, გაუბედავით. ის ყმაწვილობიდანვე ყოველთვის ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა და გრძნობდა. იგი დგას განცალკევებული, განზე, გრძნობს რომ უყვარს მამა, მაგრამ თავის სიყვარულს მხოლოდ საქმით დაამტკიცებს, როდესაც საჭირო იქნება. ამას ამ ალაღმართალს, რომელსაც უყვარს მარტოობა, მყუდროთ ყოფნა, განა აქ, ამ სამეფო დარბაზში, ამ მორთულ-მოკაზმულ ქალთა და კაცთა შორის განუცხადებს გრძნობებს თავის მფლობელს, მშობელ მამას, რომელიც მას ასე უზომოთ უყვარს? განა შესძლებს თავისი ღრმა სიყვარული გამოთქვას პირფერი სიტყვებით?

მამის კითხვაზე: — აბა ჩემო, უმცროსო, სანუყვარო შვილო, ორი ძლიერი მფლობელისაგან მიჩენილო თვალის ჩინათ, რას მეტყვი, რომ შენ დებზე მეტათ დაგაჯილდოვო? ქალიშვილი ხმას არ იღებს, ჩუმათ არის, მაგრამ როდესაც მამა აღშფოთებული მისი სიჩუმით წარბებს იკმუხვნის, ქალი თავს ძალას ატანს და მამას პირში ეუბნება, რომ ის აფასებს მის მზრუნველობას, მის მოვლა-აღზრდას, რომ მასაც უზომოთ უყვარს, მისი მორჩილია, ერთგული, მაგრამ მას ქმარიც ეყვარება.

დაჩვეული პირმოთნეობას ასეთი პირში მართლის თქმა მეფეს ჯერ არავისგან არ გაეგონა. ლირი განრისხდა, აღშფოთდა. მან მიაწერა საყვარელი შვილის გულქვეაობას, მოხუცმა სიბრაზით თავი ველარ შეიკავა, არა თუ შვილს მზითვის მიცე-



მაზე უარი უთხრა, მის მამობაზედაც ხელი აიღო. ღირს ჩვეულებათა ჰქონდა, როდესაც გული მოუვიდოდა, გაანჩხლდებოდა, არა თუ სწრაფლათ ყველაფერს გადასწყვეტდა, იმ წამსვე თავის გადაწყვეტილებას სისრულეშიაც მოიყვანდა. მან მაშინვე გადასცა თავის უფროსს ქალებს მთელი თავისი სამეფო. თანაც მოინდომა შეერჩინა მეფის ღირსებები, ამისათვის ამოირჩია ღირსეულ რაინდთა შორის ასი კაცის ამაღა და მეფის ხარისხით დააპირა თითო თვეობით ეცხოვრა გონეროლასთან დაგრეგანასთან.

სასახლეში სიჩუმე ჩამოვარდა. ასე გაანჩხლებული და აღშფოთებული მეფე ჯერ არ ენახათ. მხოლოდ ერთმა მეფის ერთგულმა მოხუცებულმა კენტმა ამოიღო ხმა თავის აღზრდილ კორდელიას გამოესარჩლა.



— დიდებულო ღირო, უთხრა მან, — მე ყოველთვის მიყვარდი მამასავით, პატივს გცემდი, როგორც მეფეს, გისმენდი როგორც მფლობელს, სასოებით გიხსენიებდი ლოცვაში. კენტმა არ იცის პირფერობა, მაგრამ როდესაც მეფე ჰკარგავს ჭკუას, თავს იმდაბლებს, მაშინ კენტი ხმას ამოიღებს, არ გა-



ჩუმდება. შეიკავე თავი, ბოროტი ნუ იქნები, გადიფიქრე. სა-  
ნამ პირში სული მიდგია ვიტყვი, რომ ცუდათ მოიქეცი.

ამ გაბედულმა, სამართლიანმა სიტყვებმა უფრო გაანრის-  
ხეს, გააბოროტეს მოხუცი. მან მაშინვე უბრძანა გაეძიათ იგი  
მის სამფლობელოდან. კენტისთვის ძნელი იყო სამშობლოს  
მიტოვება, მაგრამ მან თავდაბლათ უთხრა მეფეს.

— მშვიდობით, მეფე! სიმართლე კაცს არ გაუვა შენ-  
თან. მერე მიუბრუნდა თავის საყვარელს კორდელიას შემდეგი  
სიტყვებით: — ღმერთმა გითაროს ყოველ განსაცდელისაგან,  
უმანკო, მართალო ბავშო! მშვიდობით თქვენც ამა ქვეყ-  
ნის ძლიერნო, მოხუცი კენტი სხვა ქვეყანაშიაც ისევ კენ-  
ტი დარჩება.

ბურგონიის ჰერცოგმა რა ნახა, რომ კორდელიას მამა მემ-  
კვიდრეობას არ აძლევს — მაშინვე ხელი აიღო საცოლესზე. მაგ-  
რამ საფრანგეთის მეფემ სულ სხვანაირათ დააფასა ლირის აქა-  
მდე მოსიყვარულე ქალი. მან კორდელია კეთილი გულის გა-  
მო უფრო შეიყვარა და საჯაროთ გამოაცხადა, რომ თვითონ  
ქალი ურჩევნია რაც უნდა უმზითვოც იყოს. ლირი ამაზე უფრო  
გააფრთდა, შვილი აღარც დალოცა, აღარც გამოესალმა. გულ-  
დაწყევტილი, ცრემლ მორეული კორდელია სთხოვს დებს ყუ-  
რი უგდონ მამას, იზრუნონ მასზე და მისდევს საქმროს საფ-  
რანგეთში.

დებსაც ეს უნდოდათ მათ სწაღდათ ჩაეგდოთ ხელში მთე-  
ლი სამფლობელო. მაგრამ უფლებების მოყვარე დებისთვის  
აუტანელი გახდა მოხუცი მეფის ანჩხლობა და ჟინიანობა და  
იგინი მოჰყვენ ფიქსს, თუ როგორ მოარჯულონ, ან თავიდან  
მოიცილონ მოხუცი მამა.

ლირმა თუმცა თავიდან აიხსნა მეფობა, მაგრამ თავის  
ბრძანებლობას არ იშლიდა. მეორე დღესვე მეფის მასხარამ  
გონერლიას კარის კაცებთან ასტეხა ჩხუბი. თვითონ მეფემაც  
ერთი კარის კაცი მისტყება, ყველას ექვის თვალით უტკერდა,  
ჩხუბის მიზეზს ეძებდა. თავი ისე ეჭირა, ვითომ ახლაც სრული  
მფლობელი იყო სამეფოსი, მისი ამაღა რომ ხედავდა თავის მე-  
ფის საქციელს აღარავის არაფრათ აგდებდა და სხვის სახლში  
ითვრებოდა და ღრიანცელი გაჰქონდა. გონერლია მოთმინები-

დან გამოვიდა. გულქვა ქალს არასოდეს არ უყვარდა მამა და რას გაუწევდა თავაზიანობას. მის მაგიერ რომ მას მოლაპარაკებოდა, დაემშვიდებინა იგი, მან უბრძანა თავის კარის კაცებს და მოსამსახურეებს მის მამის ამაღლას უგულოთ ემსახურონ. გონერილია ყოველთვის შეუპოვარი იყო, როდესაც შიში არ მოელოდა და აღერსიანი — როდესაც სარგებლობას ხედავდა, ქალი ცდილობდა მამა მოთმინებიდან გამოეყვანა, რომ იგი რეგანასთან წასულიყო.

მიზეზიც მალე აღმოჩნდა. ერთ დღით ლირმა იკითხა: სად არის ჩემი ქალიო? მოსამსახურემ, რომელსაც უნდოდა დაემსახურებინა თავისი ქალბატონის წყალობა, რიგიანათ არ გასცა პასუხი, თუმცა აქამდის ცახცახებდა მეფის წინაშე. შეურაცყოფილმა და მოთმინებიდან გამოსულმა მოხუცმა ერთი კარგათ მიბერტყა. მსახური წავიდა საჩივლელოთ. მოღუშული და წარბებ შეკრული ქალი მაშინვე მოიქრა მამასთან. როგორც მფლობელი სასახლისა თავი მალლა ეჭირა. მოჰყვა საყვედურებს, რომ მისი ამაღლაც და თვით თვითონაც ყველას აწუხებენ. თანაც გადაკვრით ისიც კი უთხრა, რომ მან სიბერით ქუა დაჰკარგა. ლირი გაოცდა, არ სჯერა, ვერ მოდის გონებაზე, იგი ხედავს რომ მის ქალს არა აქვს სრულებით მისადმი პატივის ცემა, რომ არა თუ როგორც მეფეს არაფრათ აგდებს, თვით მამასაც კი... ამაზე უარესი ის არის, რომ ქალი არა გრძნობს რანაირათ საჭიროა მამისათვის საჩენი გარეგანი პატივისცემა, რომელსაც ასე დაჩვეული იყო და რომელიც მოხუცებულობის სანუგეშოთ შეიჩინა, ახლა კი უნდათ ამაღლის რიცხვი შეუმცირონ.

აღშფოთებულმა მოხუცმა იგრძნო რა განსხვავებაა გონერილის და კორდელიას ხასიათში. იგრძნო რა უსამართლოთ მოექცა იმ შეილს, მაგრამ მას სანუგეშოთ დარჩა რეგანა. მოხუცებულმა ლირმა წყველა-კრულვით მიიტოვა უფროსი ქალი და ცრემლ მორეული, შეწუხებული მისკენ გაეშურა.

ამ გამწარებულ წუთებში ლირს თანა ჰყავდა მხოლოდ ორი ერთგული მსლბელი. ერთი რომელსაც ყოველთვის დასცინოდა — სასახლის მასხარა. მეორე — რომლის ერთგულობა, როგორც კორდელიას გულწრფელობა, ვერ გაიგო, ვერ დაა-



ფასა და სიმართლისთვის განდევნა—კენტი. მოხუცი მსახური მეფეს უფრო მეტათ იცნობდა, ვიდრე ის თავის თავს. გაიძვერა ქალებისაგანაც კარგს არას მოელოდა და დარწმუნებული, რომ სახელმწიფოს დაყოფა და კორდელიას განდევნა სახეირო არ იქნებოდა, ამიტომ არ მოშორდა მეფეს, უბრალო კაცის ტანისამოსით, რომ ლირს არ ეცნო, მოსამსახურეთ გაჰყვა. იგი მეფემ წინაკაცათ გაგზავნა რეგანთან, რომელიც თავის აღრინდელი კარის კაცის გლოსტერის სასახლეში იდგა. სასახლის ეზოში კენტი შეხვდა გონერილიას მსახურს. ისიც მოსულიყო თავისი ქალბატონის წერილით. გაბოროტებულმა კენტმა, რომ ასეთი შეურაცყოფა მიაყენეს მის საყვარელ მეფეს—ვერაგი და მხდალი მსახური მისტყუა. მის ყვირილზე მთელი სასახლე ფეხზე დადგა. რეგანამ შეიტყო დის წვრილიდან მეფის ამალას საქციელი, არაფერი გამოიძია და უბრძანა მამის ერთგულ კენტს ბორკილი დაადონ. კენტს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მეფის სიყვარულით ყველაფერს მოითმენს და ხმა ამოუღებლივ შეხვდა ამ დამცირებას, იქვე ეზოში კორდელიას წერილით ხელში ჩაიძინა. კორდელიას დავიწყებოდა თავისი შეურაცყოფა, კითხულობდა მამის ამბავს და სთხოვდა კენტს, რომ მამას ყური უგდოს.

ამ დროს მობრძანდა მოხუცი მეფეც. მან დაინახა შემოქილი კენტი, შეიტყო ასე სასირცხვილოთ რატომ დასაჯეს, ისიც შეიტყო, რომ მის ქალს არ უნდა მისი ნახვა, მოიავათმყოფა თავი. ამან ხომ სულ გული დაუთუთქა. მერე მოიკრიბა მან ძაღლონე—აღრინდელივით მეფურათ, თუმცა საბრძანებელი აღარა ჰქონდა, რიხით შესძახა: წარმიდგეს წინ ახლავე რეგანა თავისი ქმრით. მაგრამ დაინახა თუ არა შვილი მამას გული მოუღება და შეურაცყოფილმა მამამ მხოლოთ მწუხარებით იჩივლა უფროსს ქალზედ.

— რეგანა, ჩემო ძვირფასო რეგანა, თქვა მან,—შენი ბოროტი და—საზიზღრათ მომექცა. გულზე გველი შემომახვია, შეურაცყოფა მომაყენა!

უმაღლურმა შვილმა მამის სამართლიანი ჩივილი არაფრათ ჩააგდო. ამართლებდა თავის დას იმითი, რომ მამა ძნელი ასატანი გახდა და როგორც გონერელია ატყობინებდა, მამას სიბე-

რის გამო ქკუა გამოეღია, რომ მას კარგი მოვლა ესაჭიროება და ბოლოს ურჩევდა დასთან დაბრუნებას.

— მაგას რას მეუბნები! შეგყვირა ლირმა, — ბოდიში მოვიხადო? უნდა ვუთხრა: საყვარელო შეილო, მე მოვხუცდი, აღარაფრის გამოსადეგი აღარა ვარ, დაჩოქილი, მუხლმოდრეკით გთხოვ შემობრალო, მაჭამე-მასვი, მომეც საგები და ტანი-სამოსი.

ველარ შესძლო უბედურმა ამოდენა ღღეღება და მართლაც რეგანას წინ მუხლებზე დაეცა.

ამ დროს შემოვიდა გონერილიას მსახური და შეატყობინა თავის ქალბატონის მოსვლა. დაინახა თუ არა მოხუცებულმა ის კაცი, რომელიც ასე უპატივემულოთ მოექცა მის ღირსებას, მერე გონერილიაც რომ შემოვიდა — მოხუცი მეფე ხელ ახლათ აღშფოთდა და უსაყვედურა რეგანას, როგორ მირჩევ დაბრუნებას ამისთანა უგულო და უმადურ შეილთან. თვით რეგანა, რომელიც უფრო მშვიდი, ალერსიანი და სათნოიანი ხასიათისა იყო — ახლა ამის გულ მოსაკლავათ ურჩევს დის სიმკაცრის ატანას და მოხუცი მუდარებით შესთხოვს, რომ რეგანამ ასი ამალით თავი შეაფარებინოს.

მაგრამ მისმა ორმა ქალმა არ შეიწყინარა მოხუცის თხოვნა-ხევეწნა. ისინი მაინც უმტკიცებდნენ, რომ სულაც საჭირო არ არის მისთვის ამოდენა ამაღის შენახვა. რეგანა იქამდის მივიდა, რომ 25 კაცის ამაღა სამყოფათ მიაჩნდა მოხუცმა მართლაც გონება სრულებით დიჰკარგა. თითქოს ვერც კი გრძნობდა მეფური პატივის ახსნას, მის დაჩაგვრას და დააპირა გონერილიასთან დაბრუნება, რომელიც თანხმდებოდა მისი ამაღის ხოლო ნახევრათ შემცირებას, გონერილიას არ ეგონა, რომ საქმე ასე დატრიალდებოდა და წამოიძახა!

— მაშავ, რათ გინდა ან ორმოცდაათის და ან ოცდახუთის წამოყვანა, როდესაც იმ სახლში, სადაც მიხვალ მსახურები ერთი-ორად დაგიხვდებიან. სულაც საჭირო არ არის არც ერთი კარის კაცის თან ტარება.

ამ უკანასკნელ სიტყვებმა საბრალოს თვალები აუხილეს. მან იგრძნო, რომ ბრძანებლობა, მფლობელობა სამუდამოთ დაჰკარგა, რომ იგი არ უყვართ, პატივს არა სცემენ, რომ





შვილებს თვითონვე ყველაფერი ხელში ჩაუგდო. რომ ახლა ისინი მას უყურებენ, როგორც საცოდავ—საბრალო მოხუცს, რომელსაც სამოწყალოთ შეინახავენ მისივე შვილები.

— ღმერთო, მოთმინება მომეც! წამოიძახებს სასოწარ-კვეთილებით მეფე ღირი, —ცა და დედამიწავ! თქვენ წინაშე დგას უმწეო, საბრალო მოხუცი მწარე ნაღვლით შეპყრობილი! თუ შვილები მამის წინააღმდეგ აამხედრე, მიეციო მამას იმდენი ძალ-ღონე, რომ ამდენმა შეურაცყოფამ სრულებით ჭკუ-აზე არ შემალოს!

მოხუცებულს სიმწრით მართლაც აზრები აერ-დაერია, სისხლი აუვარდა თავში, ხელები აუკანკალდა, ტირის საბრალო, იწყევლება, ბუტბუტებს გაუგებარ სიტყვებს...

— შენ, ეი, მახარავ, სადა ხარ! ყვირის ღირი, — მე ჭკუას ვკარგავ!



და გონება დაკარგული, ყვირილით გარბის ეზოდან...  
 მას მისდევს მხოლოდ მისი ერთგული მასხარა და კენტი...

ღამე მოახლოვდა, ცივი, მძაფრი ქარი თანდათან მატუ-  
 ლობს, შრიალი ვააქეს... სასახლის გარშემო ტრიალი მინდო-  
 რია... არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი... გულ ქვაფე ქალები  
 მაშინვე ბრძანებას გასცემენ:

— დაკეტეთ ახლავე ჭიშკარი...

მათ ეშინიანთ, რომ ამაღამ არ ააშხედროს ხალხი და შუ-  
 რის საძიებლათ არ შემოიყვანოს.

(დასასრული შემდეგ)

ან. წერეთლისა.





# თ ა მ ა რ მ ე ფ ი ს.

დღესასწაული.

(„განათლების“ საზოგადოების დიდა).

თამარ მეფის სახელი ხალხის მეხსიერებაში ისეა შთაბეჭდილი, როგორც რაღაც რამ უზენაესი, ღვთაებრივი არსი და მას აწერს ყოველ გვარ ბედნიერებას, რომელიც კი მოვლენია ქართველ ხალხს თავის გრძელ და სახელოვან ისტორიის მსვლელობაში.



მშვენიერი ვარგუნულათ, ძრიელი პოლიტიკურათ, ბრწყინვალე ზნეობის სიმალლით, დიდებული ქველობით, ის უკვდავი ჰყო ხალხმა თავის ზეპირგადმოცემით და მრავალი ქებადიდება უძღვნა იმის ხსოვნას:

„უბის ავაგე საყდარი,  
 უწყალოს წყალი ვადინე,  
 შავ ზღვაში რკინა ჩავაგდე.  
 ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე  
 და ამდენი საქმის ჩამდენმა  
 ცხრა ადლი ტილო წავიღე“!

თამარ მეფის გამარჯვებას ხალხი ასე იგონებს:

„თამარ მეფე და ხონთქარი  
 მალაღმა ღმერთმა წაჰკიდა,  
 ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,  
 ზედ აღმასები დაჰკიდა,  
 შიგ ჩასვა ქართველთ ლაშქარი,  
 მრავალ წყალობას დაჰპირდა.

ასეა თამარის სახელი განდიდებული და განბრწყინვალე-ბული, იქე აღიდებს იმის სახელს, თითქო საქმენი მისნი დღესაც ბრწყინავდნენ და ადადებდნენ ჩვენ საყვარელ სამშობლოს.

და აი ამ შესანიშნავ მეფეს, მეფეს შემქნელს ჩვენის ისტორიის ოქროს ხანისას, დედაკაცს ძრიელს და მასთანვე ქველს ფაქიზს და მშვენიერს, „განათლებლის“ საზოგადოების ქალთა წრემ უძღვნა პირველ მაისს, თამარის სახელწოდების დღეს, მშვენიერი დილა, გამართული სახაზინო თეატრში. თამარის სახელის გაგონება საკმარისი იყო, რომ მთელი თბილისის შეგნებული ქართველობა, დედიან-ბუდიანათ, ბებიიდან შვილიშვილამდე მისწყდომოდა თეატრს და სავსებით აევსო.

დღესასწაულმაც ჩინებულათ ჩაიარა. ბრწყინვალეთ გაჩაღებულ ფართე სცენაზედ თითქმის მეფურის სიდიადით გაიარა ჩვენ თვალწინ თამარის ტახტზედ ასვლის და მის დაგვირგვინების სურათმა

კათალიკოსის წინამძღოლობით და აუარებელის კარის ქალთა, კაცთა და სხვა ქვეშმრდომთა ხლებით, მშვენიერი თარი, ძვირ ფასის მეფურის სამოსლით და მშვენიერთა ასულთა

თან ხლებით ავიდა სამეფო ტახტზედ და გარს შემოერთებდა მას მთელი ერის წარმომადგენელთა კრებული, თაყვანი სცა მას და სამეფო გვირგვინი თავისის კათალიკოსის ხელით თავს დაადგა და წელს შემოირტყა ხმალი სამეფო ნიშნათ იმისა, რომ ხარისხი თამარისა ეთანასწორებოდა მამა-კაცთა მეფობას. შემდეგ დაიწყო გალობა სადიდებელი, ქებათ-ქება მეფის ძლიერისა და მშვენიერთა უმშვენიერესის მეფის თამარისა.

მშენებელთა გული თითქოს შეჩერდა, თითქო რაღაც უზენაესი კმაყოფილება და თან მწვავე ტკივილი იგრძნო საზოგადოებამ და მხოლოდ ოცნების სფეროში გადაფრინდა და იქ წარსულში, როდესაც საქართველოს ეროვნული მზე ისე კაშკაშებდა, გაიღიმა. მაგრამ მხოლოდ წამით. შემდეგ სურათის განხილვას შეუდგა, ის უფრო დიადი და საოცნებო უნდა ყოფილიყო... რა დააკმაყოფილებს ხალხის სურვილს, მის უზომო წარმოდგენილობას დიდი თამარის სიბრწყინვალეში.

პირველი ცდა თამარის მეფობის წარმოდგენასა კი მშვენიერი იყო და უეჭველია დვრიტათ დევლება შემდეგ ცდითა, რომ თამარის მეფობის წარმოდგენა, მისი ხსენების პატივისცემა, უფრო დიდებულათ მოეწყობა, არამცთუ სადმე კედლებ შუე, თეატრში, არამედ დიდუბის მინდორზედ, დიდებულათ გამოხატულ პროცესიაში, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას მთელი ერის წარმომადგენელი და თავისის ათასფეროვნების სიმშვენიერთა და სხვა და სხვაობით გააშუქებენ და შეამკობენ წარსულის ზვიადს, რომ მომავლისათვის შეჰქმნან იმედი ფრთებ შესხმული, ვრცელი, მზიანი...


ექ. გაბაშვილისა.





# როგორ ჩნდება კვერცხში წიწილა.

(დასასრული)



უცა მოუთმენლათ მოელოდა იმ დროს, როცა სანდრო ახალ კვერცხებს ვასტებდა და აჩვენებდა წას, რა ცვლილება მოჰხდა იმ პატარა ნასახში, რომელიც მან კვერცხში წახა.

ის ყოველ დილას მიიბრუნდა სანდროსთან და თხოვდა კვერცხი გაეტება, მაგრამ სანდრო არ ეთანხმებოდა და იშორებდა თავიდან იმ მიზეზით, რომ ნასახში ჯერ კიდევ ისე ცოტა ცვლილებაა, რომ არ ღირს კვერცხის გაფუჭებაო. მეხუთე დღეს კი სანდრომ თვითონ დაუძახა ნუცას, რომ კვერცხი მოეტანა ბუდიდან. გახარებულმა ნუცამ საჩქაროთ მოუბრუნებინა კვერცხი. სანდრომ კვერცხი გატება, გული და ცილა ლამბაქზე დაასხა და ნუცას ჰკითხა.

— აბა, მითხარი, რა ცვლილებას ხედავ კვერცხში?

— მე ვხედავ, რომ კვერცხს ცილა მოჰკლებია და გული კი მომატებია. უთხრა ნუცამ.


— სწორეთ აგრეა. აბა ეხლა ნასახი დავათვალიეროთ მიკროსკოპში.

ისევე ისე ფრთხილათ მოამზადა კვერცხიდან ამოღებული ნასახი სანდრომ მიკროსკოპისათვის და როცა მოაწყო, ჯერ თვითონ დაათვალიერა და მერე ნუცა ჩაახედა შიგ.

— აბა, ეხლა დაუკვირდი ზევითა ნაკეცს; ხომ გახსოვს წინათ რომ განახე ორივე ნაკეცი მხოლოდ პატარა ბურთულე-ბიდან შედგებოდნ და მათზე მეტს ვერაფერს შენიშნავდი და ეხლა შეხედე, ზეით ნაკეცზე ზოლი მოსახანს, რომელიც წერტილებიდან შესდგება? ეს არის მომავალი წიწილის ხერხემალი. აბა დაუკვირდი: ამ ზოლს ერთი ბოლო ბურთისავით პორცეა-



ლებული აქვს და ამ პატარა ბურთს წინ და გვერდზე ორ-ორი გამოწეული ადგილები აქვს. ეს მორგვალელებული და გამოწეული ნაწილები არის თავი, ორი თვალი და ორი ყური მომავალი წიწილისა. ამავე ზოლს აქვს მობმული პატარა პარკი — მუცელი მომავალი წიწილისა. აი აქვე, ცოტა ზევით, ხედავ, ბუშტი და ორი ხაზი. ეს არის გული და მისი ძარღვები. კიდევ ცოტა ზევით არის ფილტვები. ეს ყველაფერი მშვენიერადაა მოსჩანს მიკროსკოპში. უშუშოთ, უბრალო თვალით კი, ამაღებს ვერ დაინახავ, რადგანაც ეს ნაწილები მეტათ პატარები არიან.



ნუცა გაკვირვებული, მიკროსკოპიდან თავს არ იღებდა, შიგ ჩასჩერებოდა და უკვირდებოდა.

მეტათ გაერთო ნუცა კვერცხის გაშინჯვაში. თამაშობა და სათამაშოები აღარ ახსოვდა. ხშირათ მიირბენდა კვერცხებზე მჯდომ დედალთან და უკვირდებოდა, როგორ მოთმინებით აჯდა ის კვერცხებს, რომ მათ საკმაო სითბო არ მოჰკლებოდათ.

— დედა, ოცდაერთ დღეს სულ ასე უნდა აჯდეს დედალი კვერცხებს? ეკითხებოდა ნუცა იქვე მყოფ დედას.

— სწორეთ ასე. ამ ხნის განმავლობაში წიწილები დაიზრდებიან კვერცხში, თავიანთ პატარა ნისკარტით და დედის დახმარებით გასტეხენ კვერცხის ნაჭუქს და გამოვლენ.

— ის რომ ბუდიდან არ გადმოდის? შიმშილით განა არ მოჰკვდება?



— როგორ არა. როცა მოშვიდება, ან მოსწყურდება და ან კიდევ ნამეტანი დაიღლება ერთ ადგილს ჯდომით, გადმოფრინდება ბუდიდან და კაკანით შეგვატყობინებს, რომ ვაჭამოთ და ვასვათ. ცოტას გაივლ-გამოივლის, ფრთებსაც აავარჯიშებს და მერე ისევ ჩაჯდება ბუდეში თავის მოვალეობის ასასრულებლათ.

მერვე დღეს ნუცა მივიდა ბუდესთან კვერცხის ამოსაღებათ. არც დედა და არც ნენე ახლო არ იყვნენ და თვითონ უნდოდა კვერცხის ამოღება, მაგრამ, იმისთანა თქვენ მტერს, იმას საქმე დაემართა. როგორც კი მოუახლოვდა ბუდეს და ხელი გასწია კვერცხის ამოსაღებათ, ამოვარდა დედალი ბუდიდან და მიაფრინდა ნუცას გააფთრებულ კრიახით. ერთი კიდევ უკორტნა ხელზე. ნუცას შეეშინდა და საშინლათ შებღავლა. შემოვარდა ნენე, რომელიც ბოსელში ძროხას სწველიდა და მიეშველა ნუცას.

— რა ავი, რა ბოროტია ეს დედალი! ხედავ რა ნაირათ დამკორტნა! ჩიოდა ნუცა.

— ბოროტი ეს კი არა, შენა ხარ. ეს უფლის კვერცხებს, დღე და ღამ ზედ აზის, წვალობს, რადგანაც იცის, რომ შიგმისი შვილები იზრდებიან და შენ კი ართმევ კვერცხებს და უკლავ შვილებს.

— მე სიბოროტით კი არ ვშვრები. მინდა ვიცოდე, როგორ იზრდება კვერცხში წიწილი.

— დედალმა რა იცის რისთვის მიგაქვს შენ კვერცხი. ის მხოლოდ იმას გრძნობს, რომ შენ მისი მტერი ხარ, რადგან კვერცხებს ართმევ.

ნუცა ხელ-ცარიელი გაიქცა სანდროსთან.

— სანდრო. არ მინდა ქათამმა და ნენემ იფიქროს, რომ მე ბოროტი ვარ. არა ვარ მე ბოროტი! ძალიან მეცოდება დედალი. იმას უყვარს თავის შვილები, უფლის მათ, თავს აკლავს ბუდეს და მე კი ვართმევ კვერცხებს. გააფთრდა დედალი და აი როგორ დამკორტნა, სისხლიც გამომადინა!

სანდრომ წამლიანი წყლით მოჰბანა და შეუხვია სუფთა ნაჭრით ნუცას ნატკენი ხელი და თანაც ელაპარაკებოდა.

— რასაკვირველია, უბრალოდ ქათმის, ან სხვა ფრინველის კვერცხის გაფუჭება ცუდია, მაგრამ ჩვენ ხომ ტყუილათ.



არ ვაფუჭებთ. ამ გზით შენ იძენ ცოდნას, გონება გეხსნება და ეს ყოველი კაცისთვის ძალიან საჭიროა, ამ მიზნით რომ რამდენიმე კვერცხი გავაფუჭოთ, ეს ბოროტება არ არის. ეს მხოლოდ ცოდნის მოყვარეობა არის და ცოდნის მოყვარეობა კარგი გრძნობაა. მაგრამ რადგანაც შენ ქათამი გებრალემა, ვეცადოთ ნაკლები კვერცხი მოვაკლოთ ბუდეს. ორი, ან სამი კვერცხი სრულიათ გვეყოფა, რომ გავაგებინო, როგორ თან და თან იზრდება კვერცხში წიწილი.

ამ შემთხვევის შემდეგ გაიარა კიდევ ორმა დღემ, მის შემდეგ კი, რაც სანდრომ პირველი კვერცხი გასტეხა და აჩვენა ნუცას — ათმა დღემ. მეათე დღეს დილით სანდრომ თვითონ ამოიღო ბუდიდან კვერცხი, გასტეხა და ცილიან — გულიანათ თეფშზე (საინზე) დაასხა.

— ხედავ, ნუცა, კვერცხში ცილა თითქმის სულ გამჭრალა, კვერცხის გულიც თან და თან კლებულობს, მაგიერათ თვითონ წიწილით გადაქცეული ნასახი კი იზრდება და მეათე დღეს იმდენათ გაზრდილა, რომ იმას უშიროსკობოთაც კარგათ ვხედავთ. ხორციც შეუსხამს, ისე რომ თუ არ გავსტერით, შიგნეულს ვერ დანიხაბვ. აი აილე ხელში ეს გამადიდებელი მუშა და კარგად დააკვირდი და მითხარი, რაც შენიშნო.

— ოჰ, რამოდენა გამხდარა ჩვენი ერთი ნამკეცი ნასახი! წიწილის თავი და თვალების ადგილები კარგათ მოსჩანს.

— თუ კარგათ დაუკვირდები, ფეხებსაც და ფრთებსაც დანიხაბვ. მეათე დღეს ეს ნაწილები კარგათ მოსჩანან.

— ვხედავ, ვხედავ, მაგრამ ფეხები და ფრთები ერთმანეთსა გვანან. აქ, სანდრო, კიდევ რალაც ბუშტია, წიწილის ტანთან ძაფით შეერთებული. ეს არ ვიცი, რა არის?

— ეს ბუშტი, ნუცა, არის ფილტვების მაგიერი სასუნთქი ორგანო. შენ ხომ იცი, რომ სასუნთქი ორგანო ფილტვებია, მაგრამ ჯერ წიწილის ფილტვები არ მუშაობენ და ჰაერი კი წიწილისთვის საჭიროა. აი ეს ბუშტი ფილტვების მაგიერობას უწყევს. ის ერთი გვერდით ეხება კვერცხის ნაჭუქს, რომლის ნახვრეტებიდან ბუშტში აჰერი შედის და მეორე გვერდით კი ბუშტს წვრილი მილი აქვს, რომლის საშუალებით ჰაერი მუშაობს წიწილის სხეულში. შენ რომ ძაფს ეძახი, ის სწორეთ ის მილია რომელიც ბუშტს უერთებს სხეულს. გუ-



ლიც უკვე მუშაობს, ხედავ უყურე, ერთ ადგილას როგორ ფეთქავს? ხედავ, ნუცა, მთელი ტანი ისე აქვს წიწილს მოღუნული, რომ თავი ბოლოს ეხება. თავი სულ პატარა ნიშნით თავდება. ეს არის მომავილი ნისკარტი.

დიღხანს უყურებდა ნუცა წიწილს ხან გამადიდებელი შუშით და ხან მარტო თვალებით და ბოლოს მწუხარის ხმით თქვა

— სანდრო, როცა კვერცხი თეფშზე დაასხი, მაშინ ეს პატარა წიწილი ინძრეოდა, ცოცხალი იყო და ეხლა კი აღარ ინძრევა, მოკვდა. მართლა ცოდლა დედალი. ამას იქით აღარ გავტებ დედლის მკერდიდან ამოღებულ კვერცხებს.

— არა, ერთი კიდევ გავტებოთ მეთუთხმეტე დღეს და მერე აღარ იქნება საჭირო. მაშინ სულ კარგათ გაიგებ, თუ როგორ იზრდება წიწილი კვერცხში.

მეთუთხმეტე დღეს სანდრომ კიდევ გაჭტება კვერცხი და როცა საინზე დაასხა, მაშინ ნუცამ უშუშოთაც კარგათ დაინა-





ზა პატარა წიწილი, მისი თავი, თვალები, ბოლო, ფეხები და ფრთები. ნისკარტიც კარგათ მოსჩანდა. ისიც შენიშნა, რომ მთელი ტანი წიწილს შემოსილი ჰქონდა ქორთა და სქელი ღინღლით.

— აი, ნუცა, აგისრულე შენი სურვილი და გაჩვენე, თუ როგორ ჩნდება კვერცხში წიწილი. მეტი კვერცხის გატეხა საჭირო არ არის. ამას კი გეტყვი, რომ მეოცე დღეს წიწილი უკვე დაიწყებს პირით სუნთქვას, რადგანაც მისი ფილტვები ამუშავდებიან. მასთანვე სრულათ გაჰქრება ის ბუშტი, რომელიც ფილტვების მაგიერობას უწევდა. კვერცხის გულიც სრულათ გაჰქრება: იგი გამოიღია ტანის კვებაში. იმავე დროს წიწილს ნისკარტზე ეზრდება ერთი ნამცეცი რქა, რომლითაც ის შიგნიდან სტებს კვერცხის ნაჭუქს გამოსასვლელათ. როცა გამოჩეკის დრო დადგება ე. ი. მეოცდამეორე დღე, წიწილი შიგნიდან დაუკაკუნებს. დედალი გაიგონებს ამ რაკუნს, თვითონაც გარედან მიეშველება ნაჭუქის გატეხაში და გამოიყვანს შვილებს.

დადგა წიწილების გამოტეხის დღე. ნუცა დილიდანვე არ შორდებოდა ბუდეს და შორი-ახლო უყურებდა, როცა დედალი რიგ რიგათ ეხმარებოდა თავის შვილებს კვერცხის გატეხას და გამოსვლას. ბოლოს, როცა ყველა გამოიჩეკა, ნენემ გადმოსხა ისინი ბუდიდან. ნუცამ შენიშნა, რომ ღინღლი მათ სველი ჰქონდათ, მაგრამ რადგანაც ფეხზე მარდათ დადიოდნენ, მზეზე ჩქარა გაუშრათ ღინღლი და ბურთსავე მრგვალი, ყვითელი წიწილები მშვენიერი სანახავები იყვნენ. ნენემ დაუყარა ღომის მარცვალი და ჯამზე დაუსხა წყალი. დედა დინჯათ ასწავლიდა შვილებს მარცვლის კენკას და წიწილებმა მალე ისწავლეს მარცვლის კენკაც და წყლის სმაც.

ნუცა თვითონ უვლიდა წიწილებს. დღეში რამდენჯერმე უყრიდა მათ ღომის მარცვალს, უსხამდა წყალს. დედალი და წიწილები მალე მიეჩვიენ ნუცას და როცა ეზოში დაინახამდნენ, უკან დაედევნებოდნენ და საჭმელს თხოვდნენ. დედალი იმდენათ მიეჩვია ნუცას, რომ საღამოს ნუცა უშიშრათ აბუდრებდა წიწილებს. დედალი აქვე იდგა და როცა უკანასკნელ წიწილს ჩასვამდა ბუდეში, ისიც აფრინდებოდა, ჩაჯდებოდა ბუდეში და თავის ფრთებს საბნის მაგივრათ გადააფარებდა შვილებს.

ფე. ჭიჭინაძისა.



## მთვარის ანგარიში.



შირათ გვესაქიროება ვიცოდეთ ამა და ამ ღამეს მთვარე რა დროს ამოვა, ამიტომ ძველ დროიდანვე შემოდებულია ჩვეულება—მთვარის ანგარიში მეტადრე სოფელში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგი ერთი, ვინც არ იცის მთვარის ანგარიში, ასე ტყობულობს: გამოიტანს საჩქეს, მიიღებს შუბლზე და შესცქერია: ვითომ რამდენი მთვარეც შიგ აღმოჩნდება, იმდენი დღისაა მთვარეო. თუ დღე ღრუბლიანია—შენი მტერი რომ ვერაფერს შეიტყობს.

მთვარის ანგარიშის ცოდნა კი ძრიელ სჭირდებათ. მაგალითად, ვისმეს უნდა საფერისცვალოთ (6 აგვისტოს) ესტუმრონ ვინმე ნათესავს. გზა სოფლამდის 25 30 ვერსია. გზაში იციან რომ დაუღამდებათ. საჭიროა გამოიანგარიშონ იმ ღამეს მთვარე იქნება თუ არა. მთვარის ანგარიში კი ასე გვასწავლის, უნდა დავთვალოთ აგვისტომდე რამდენი თვეა: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, თიბათვე, კათათვე და აგვისტო, სულ არის რვა თვე. ამას მიუმატეთ 2 (თვის თავი და ნიადაგი), კიდევ მივალთ 4 (წრეულის ზედ ნადები არის 4) მერე მიუმატებთ 6 (ფერისცვალეა 6 აგვისტოშია) სულ გამოვა 20.

მაშ საფერისცვალოთ მთვარე 20 დღისაა.

მაშ ასე: უნდა დასთვალოთ თვეები იმ დღემდე, რომელ თვეშიაც არის თქვენი საანგარიშო დღე. მერე მიუმატოთ უსათუოდ 2 (თვის თავი და ნიადაგი: მერე მიხვალთ ზედ ნადები 4 (წრეულის ოთხია) და ბოლოს მიუმატებთ დღის რიცხვს.

თუ ვინიცობაა გადასცდა 30-ს (თვეში ხომ 30 დღეა) მაშინ ასე უნდა გამოიანგარიშოთ

თუ ის თვე, რომელ თვეშიაც თქვენი საანგარიშო დღე არის, 31 დღით, მაშინ საერთო ჯამიდან გამოვალთ მთვარის 30 დღესა, თუ ის თვე არის 30 დღით, მაშინ საერთო ჯა-



### მთვარის ანგარიში.

მიდან გამოვალთ 29 დღეს, მაგალითათ: შობას რამდენი დღისა იქნება მთვარე. დავთვალოთ თვეები. იანვრიდან შობამდის 12 თვეა. მივუმატოთ 2 (თვის თავი და ნიადაგი), 1 (წრეულს ზედ ნადებია 4) მერე მივიღეთ 25 (შობა 25 დეკემბერშია) სულ არის 43. აქედან გამოვიღეთ 30, რადგან დეკემბერი 31 დღითაა, მაშასადამე 43 - რომ გამოვიღეთ 30 - დარჩება 13.

საშობაოთ მთვარე იქნება 13 დღისა.

აქვე უნდა შევნიშნოთ რომ იანვარში და თებერვალში ეს ანგარიში ასე იცვლება! თუ საანგარიშო დღე იანვარშია, მაშინ იანვარი 3-ჯერ უნდა ვახსენოთ. თებერვალში კი 2-ჯერ.

მაგალითად: თუ გვინდა შევიტყოთ წრეულს 19 იანვარს რამდენი დღით იყო მთვარე ასე უნდა გამოვიანგარიშოთ:

იანვარი, იანვარი, იანვარი . . .	= 3
თვის თავი და ნიადაგი . . .	2
ზედნადები (წრეულს) . . .	4
იანვრის დღეების რიცხვი . . .	19
ს უ ლ . . .	28

მაშ 19 იანვარს ამ 1916 წელს მთვარე 28 დღისა ყოფილა.

თუ თებერვალში მინდა გავიგო, მაგალითად 17 თებერვალს, ვანგარიშობ ასე:

იანვარი, იანვარ, თებერვალი . . .	= 3
თვის თავი და ნიადაგი . . .	= 2
ზედნადები (წრეულს 4) . . .	= 4
თებერვლისაც . . .	17
ს უ ლ . . .	26

მაშ 17 თებერვალს წრეულს ყოფილა 26 დღისა.

შენიშვნა:

შზის წელიწადი ითვლება 365 დღე მთვარის წელიწადი არის 354 დღე. განსხვავება არის 11. აი ეს თერთმეტი არის ზედნადები.

წელს 1916 წელიწადში ზედნადები არის 4. მერმის 1917 წელში იქნება 4+11=15. იქით -- მერმისს 1918 წ. 15+11=26. 1919 წ. იქნება 26+11=(37-30)=7. 1920 წელს იქნება 7+11=18 და სხვა.

შზის მოქცევა არის 28 და მთვარისა 19 წელი. თუ 28 გავამრავლებთ 19-ზე მივიღებთ 28×19=532 წ. ამ 532 წელიწადს ეწოდება „სიმრგვალე დიონისიისა“.

მიხეილ გერმანაშვილი.

# მაიმუნი იაკო.

ოტტო შრო მბერის  
(თარგმანი)



ატონი ლემერმანი აფრიკაში მოგზაურობდა. როცა იქიდან სამშობლოში დაბრუნდა თან მშვენიერი რამ სანახავი მაიმუნი მოიყვანა. იგი შიმპანზეს გვარისა იყო, ახოვანი, მოზრდილი ტანის. და ამასთან მთლათ შავი ბალნით იყო დაფარული. ბატონმა ლემერმანმა მაიმუნს სახელათ იაკო უწოდა. მალე ლემერმანმა მაიმუნი ყველანაირს საქმეზე მიაჩვია. რა გინდა რომ იაკოს არ გაეკეთებინოს! ფეხსაცმლებს დაწმენდავდა, სამზარეულოს ტილოებს დარეცხავდა, ძაფს დაართავდა და ამოახვევდა. შეშას და ნახშირს მოიტანდა და ასე წარმოიდგინეთ, ბუხარსაც ანთებდა. მაიმუნი ისე ემსახურებოდა ხოლმე თავის ბატონს, როგორც კარგი მსახური. ყველა ამ სიკეთესთან სამი ნაკლი ჰქონდა მაიმუნს. ეს კი ცოტა არ იყოს თავბრუს დაჰხვევდა ხოლმე ბატონს. ერთი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ტკბილეულობის სინსილა გააქრო. საცა კი მოახელებდა ტკბილს - გასწყვეტდა, ამოსლაპავდა. ერთხელ ბუხრის თავზე დიდი ყუთი შექარი იდგა, ხუთის წუთის განმავლობაში დასცალა. არც რძეს და კარაქს იწუნებდა. საცა კი მოახელებდა, მაშინვე შეამჩნევდით, რომ უმსუნაგნია — ტუჩებზე და წვერებზე რძე და კარაქი ემჩნეოდა. ერთხელ მთელი ბოთლი არაყიც დაეღია და კარგა გამომთვრალაყო. პირისახეს საშინლათა მანქავდა, ყირამალა კუნტრუშობდა და ციკანივით ბლაოდა. თავზე ლამპის შუშა დაეხურა. მეორე ის უნდა გითხრათ, რომ იაკო დიდი ცნობის მოყვარე ყო. რაც კი რამ მოხდებოდა მის გარეშამო ყველაფერს ყურადღებას მიაქცევდა და არაფერს არ სტოვებდა გამოუძიებელს. რომ იტყვიან შეტიჩარააო სწორეთ ეს იყო. სადაც არ გინდათ ის იქ უნდა გაჩენილ ყო დიდის მესხიერებით იხსომებდა ყველაფერს რაც კი რამ მოხდებოდა. გამოპარებით



ვერაფერს ვერ გამოაპარებლით. ამის გამო ხშირათ განსაცდელში ჩაყარდნოდა, მაგრამ მეტი მეტის ცბიერი მოხერხებით დაუხწყევია თავი ათას გასაქირ მდგომარეობიდან. თავის ბატონის ან დიასახლისის მოქმედებას ხომ გულმოდგინეთ იხსომებდა, რადგან მერე ყველაფერი თითონ მიმბაძველობით გაეკეთებინა. მესამე თვისება მისი—ეშმაკობა იყო. მისი დიდი მეგობარი ის იყო, ვინც მასთან ითამაშებდა. მაგრამ მეტის მეტი ავი რამ იყო მისთვის დაღვრემილი და ბუზლუნა ივანე მეეზოვე საცა უნდა ყოფილიყო იაკო ეს მეეზოვე უეკველათ თვალს შეასწრებდა და ლანძღვა გინებით გამოისტუმრებდა. მაიმუნი ვრიდებოდა ივანეს, სანამ იგი სადარაჯოთ არ წავიდოდა. როცა ივანე წავიდოდა, მაიმუნი მაშინვე მის საწოლზე გაგორდებოდა.

არც ჯაჭვზე დაბმული ძაღლი იყო მაიმუნთან კარგ განწყობილებაში. ძაღლი მაიმუნის დანახვაზე საშინლათ ანჩხლობდა და იღრინებოდა. ხშირათ როცა ძაღლს თავის ბუნაგში ეძინა, მაიმუნი განგებ გაუვლიდა გვერდით და კარებს დაურაკუნებდა. ძაღლიც მაშინვე გაცოფებული წამოვარდებოდა, ხტოდა, ტრიალებდა თავის ვიწრო ბუნაგში გაანჩხლებული. მაიმუნი კი თითქოს არც კი ამჩნევდა, თუ იქ რამე ხდებოდა. ერთის სიტყვით მაიმუნი მოუსვენარი რამ იყო. მისი გამობრუნება, მოკვიანება ძნელი იყო. პატრონს მოთმინება უნდა ჰქონოდა. მაგრამ ის თავხედი ცელქობა, რაც იმან ერთხელ მოიქმედა იმდენათ სამაგალითოა, რომ სასიამოვნო იქნება თქვენთვის და ამიტომაც ყურს თუ დამიგდებთ გაიმპობთ.

მარიამობისთვის სიცხიანი შუა დღე იყო. ლემერმანმა ის იყო პირის პარსვა გაათავა, დალაქი დაითხოვა და თითონ სამგზავროთ ეშადებოდა. იაკო ოთახში იყო. მას უნდა კვარით ბუხარი აენთო, რასაც დიდი სიხალისით აკეთებდა ყოველთვის. დღეს კა მარცხი დაემართა. ყოველთვის რამეს დაიწომდა, მაგრამ ბატონს უმაღლავდა. დღეს კი თითი დაიწო. სიმწრისაგან ხელს იქნევდა. თან პირში იდებდა. „ჩემო იაკო“ — ფიქრობდა ბატონი, რომელიც სარკეს წინ იდგა და გართული იყო თავის მოკაზმვაში. — „არაფერი ხიფათი არ მოახდინო. — მე წავალ სულ ნახევარ საათით და ამ ცოტა ხნის განმავლობაში დარწმუნებული ვარ კარგათ მოიქცევი. ამასთან არაფერ

შერე აიღებდა საპნით სავსე ჯამს, რომელიც პირზე წასასმელად იყო დამზადებული. მივიდოდა სარკეს წინ და წაისვამდა საპონს სახეზე. ისომს ლოყებზე, პირისახეზე, ცხვირზე და თან მიბადვით ამბობს: მშვენიერი დარია დღეს, ბატონო ლემერმანო! რა ამბავი იცით ოსმალეთის ომზე, — რასა სწერენ მაკედონიის შესახებ? — აბა, თქვენის აზრით რას იტყვის ომზე ამერიკა!.. საუცხოვო ამბავია, სწორე ვითხრათ!.. აიღო სკამი, დაჯდა სარკის წინ, ფეხი ფეხზე გადიღო და შეეცადა, პირი გაეპარსნა, ამასთან სასაცილოთ დაიღო სამართებელი პირისახეზე. რასაკვირველია აქა-იქ ამოიპარსა და თან ერთ ორ ალაგასაც გაიჭრა, ამაზე პირისახე წითლათ შეიღება. ესეც როგორც მისი ბატონი: ჩაახველებდა, გაწყურებოდა და დუღუნს მოყვებოდა: „ბატონო ჩემო, დალაქო, მგონია ცხვირსაც მომაჭრით სრულიათ!“ ამის შემდეგ მითომ დალაქის მაგიერ მოწიწებით იტყოდა: „ოჰ, უკაცრავათ, ათასჯერ უმდაბლესი ბოდიში, ბატონო ლემერმანო“!..

აი, უკვე მზათაა, მივიდა, დალაქის ჯამი აიღო და პირისახე ჩამოიბანა. წყალი ჯამში წითლათ შეიღება კრილობისაგან. თუმც ძლიერ სტკივა და აწუხებს კრილობა, მაგრამ რას იზამდა, სასიამოვნო იყო გრძნობა რომელიც ამ პირის გაპარსვამ გამოიწვია: სიხარულით ერთი გადაკუნტრუშდა და მაღლივით ყიყლიყო დაიძახა.

დასასრული იქნება.







მგოსანი იზოდონ ფელიშვილი  
დაიბადა 1873 წ. გორაკვალა — 1916 წ.



მიიღება ხელის მოწმობა 1916 წლისათვის.

ყოველდღიური სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი

# სახალხო ფურცელი



გამოვა იმავე პროგრამით, რაგორც 1915 წელს გამოდიოდა.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 9 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 5 მან. საზღვარ-გარედ 8 მ. ერთი თვით ტფილისში 90 კ., საზღვრ გარედ 1 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1 აფრილამდე სრულვდ გადაიხტიან წლიურ ფასს, მიიღებენ ბრემიას ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, სასახლის ქ. სარაჯიშვილის სახლი და წერაკითხვ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ“ ПОЧТОВЫЩИКЪ 190

## მიიღება ხელის მოწმობა 1916 წ.

ყოველ-დღიური სალიტერატურო, საეკონომიო და საპოლიტიკო გაზეთი

# „საქართველო“

უპრემიოდ—ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კ. პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანება.

**პრემიები:** 1) სალიტერატურო კრებული „მერანი“, გამოვა სამ თვეში ერთხელ დასურათებული. 2) „საქართველოს“ ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“, წიგნაკებათ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4, почтовый ящикъ № 76). და წერაკითავის საზოგადოებაში.



# ჯეჯილი

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი  
ოცდა ეუზვილა წალიწალი.  
ჟეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი  
განყოფილება, ზატარებისათვის და მოსრდილთათვის.  
ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება  
4 მან., ქაღაღ გურეთ (გაგზავნით) 5 მან.  
ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.  
ხელის მოწერა მიიღება: თბილისში — «ჯეჯილის» რედაქციაში,  
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოტის აღრეხი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго  
журнала „Джеджили“

რედაქციაში იუიღება ძალიანი იათუათ  
კვალი წლის ნომერები